საკმარი ბაჯები

№44 (636)
ოთხშაბათი
1 დეკემბერი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.

გია ჟორჟოლიანი:

მისასალმებელია მთავრობის ინიციატივა - შევქმნათ ადამიანზე ორიენტირებული ქართული სახელმწიფო

საქართველოში, მაღალ შემოსავლებზე გადასახადები გასაზრდელია

დიმიტრი ლორთქიფანიძე:

სკანდალური ინფორმაცია: სააკაშვილი არც კონტეინერებში მჯდარა და არც ტრაილერში. ის ნიკოლაევის დახურული პორტიდან შემოაპარეს, შემდეგ კი ფოთიდან თბილისში დიპლომატიური ავტომანქანით ჩამოიყვანეს

სააკაშვილს უკრაინულ ციხეშიც ელოდებიან

სააკაშვილი გახლავთ სოციოპათი, რომელიც ბნელი ტრიადის ცნობილი ფსიქიატრიული დაავადებით არის დასნებოვნებული, რაც მთლიანობაში აერთიანებს მაკიაველიზმს, ფსიქოპათიას და ნარცისიზმს

ლეგენდარული პოლიციელის სკანდალური საქმე

წლების წინ დაწყებული უბედურება - სახელად „სიძე“

რატომ ვერ აღკვეთა ედუარდ შევარდნაძემ სახელმწიფო გადატრიალება, სახელწოდებით „ვარდების რევოლუცია“?

დამყარდება თუ არა მსოფლიოში ახალი ტიპის დემოკრატია?

„კონსერვატიული მოძრაობა“ საქართველოში ლიბერალების პარპაშს დაამთავრებს

იმპოტენტი ოპოზიცია და „კაცი გამოძახებით“ კიევიდან

„ქილერა“ №2

ცალკალოშიანები და სიკვდილის კალო

„ყვავებთან“ ერთად „გალიაში“ მილიარდერებიც ხვდებიან

იმპოტენტი ოპოზიცია და „კაცი გამოძახებით“ კიევიდან

ვახტანგ ხარჩილავა:

ძვირფასო ხელისუფალნო, 29 ნოემბერს უშუალოდ საკაშვილის მიერ ორგანიზებული არეულობის მოწყობის მცდელობის შემდეგ, სანამ ამ პოლიტდემაგოგის მორიგი ხუშტურის აღსრულებაზე დაიწყებდეთ ფიქრს, იქნებ, ჯობდეს, ხმამაღლა და გარკვევით ვთქვათ:

ამიერიდან არავითარი განსაკუთრებული შეღავათები ამ უმადურ კაცს, რომელსაც, საკუთარი თავის გარდა, ყველა და ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, პირველ რიგში კი ფეხებზე ჰკიდია საქართველო და ქართველი ხალხი.

თუ მკურნალობას შეწყვეტს — შეწყვიტოს!

თუ შიმშილობას დაიწყებს — დაიწყოს!

სიცოცხლე არ უნდა? — მისი ნებაა!

ეს კაცი მასხრად იგდებს ქართულ სახელმწიფოს, დასცინის, თვალში ნაცარს აყრის, ამის ნაცვლად ჩვენ პატივისცემით უნდა მოვექცეთ თურმე, ყოველ ერთ საათში შარდის ანალიზი უნდა ავიღოთ, წამდაუწუმ წნევა უნდა გავუზომოთ, გულისცემა შევუმოწმოთ, მაჯა გავუსინჯოთ.

ერთი ქართველ ხალხსაც გაუსინჯეთ მაჯა და წნევაც გაუზომეთ, ლამის არის გული გაუსკდეს, ლამის არის ჭკუიდან გადავიდეს ამ მანქურთების, ამ შინაური დამპყრობლების უზნეობის შემხედვარეს.

18 წელია ითმენს ქართველი ხალხი ამათ უტიფრობას, ამათ ცინიზმს, ამათ ბულინგს და უკვე ისე ამოუვიდა ხელში ეს ყველაფერი, მეშინია, ნერვებმა არ უმტყუნოს, გორში არ ჩამოვარდეს და ეს მისი შეურაცხმყოფელი ფეხქვეშ არ გაიდოს.

ცეცხლს ეთამაშებით თქვენ, საკაკაშვილო და „ნაცმოძრაობავ“!

თქვენ წარმოდგენა არ გაქვთ, რამხელა ბრაზი და აგრესიაა თქვენს მიმართ დაგროვილი ქართველ ხალხში.

ეს ბრაზი და აგრესია გაორმაგდა და გასამმაგდა საკაშვილის მიერ განხორციელებული დივერსიული „სპეცოპერაციის“ და იმ სამარცხვინო „შევჭამ-არშევჭამ“-ის შემდეგ, რომელმაც ბოლომდე გააშიშვლა „ნაცმოძრაობის“ და მისი ლიდერის ბოროტი ზრახვები, მათი მოძალადე და პროვოკატორული ბუნება.

„ქართულ ოცნებას“ რომ აბრალებთ თქვენს ფარშმატებლობას, „ქართულ ოცნებას“ კი არა, ქართველ ხალხს არ უნდიხართ თქვენ, ნაციონალებო და რით ვერ მიხვდით, რით ვერ დაიჯერეთ ეს?

რვაჯერ დამარცხდით არჩევნებში და ეს არ არის საკმარისი, რომ ირწმუნოთ — არჩევნების გზით თქვენ ხელისუფლებაში ვერასოდეს დაბრუნდებით!

არჩევნებით თუ არა, ცეცხლითა და მახვილით აპირებთ დაბრუნებას?

თუ ამას გააკეთებთ, იმ მახვილითვე განიგმირებით, რომელსაც ქართველ ხალხს მოუღერებთ და იმ ცეცხლში დაიფერფლებით, რომლითაც ქართული სახელმწიფოს განადგურებას დააპირებთ.

ასე რომ, ცუდად ნუ ებღლარძუნებით თქვენ ქართველ ხალხს, ნაცებო.

თქვენც მიუგდეთ ჟური ქართველ ხალხს, პატივცემულო ხელისუფლებავ და საკაკაშვილს

სხვადასხვა ფვრილ-ფვრილ დანაშაულებთან ერთად იმ მთავარი დანაშაულების გამოც ფაუყენეთ დროზე ბრალი, რომლებზეც გამოკიეგა დუმს.

საკაკშვილის უგუნურ, შლეგურ ქმედებებს საქართველოს ტერიტორიის 20%-ის დაკარგვა და ათასობით ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა.

საკაკშვილის მიერ შექმნილმა დანაშაულებრივმა სისტემამ საქართველოს და ქართველ ხალხს უდიდესი ზიანი მიაყენა.

რატომ არ არის ასახული ეს ყველაფერი საკაკშვილის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებში?

რატომ იქნა მივიწყებული ასე ერთბაშად ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საიდუმლოებით მოცული საქმე, გურამ შარაძის საქმე, ასობით ადამიანის ქუჩაში დახვრეტის საქმე, ათასობით პატიმრის ციხეებში წამების საქმე, თავი რომ დავანებოთ უამრავ ეკონომიკურ და ფინანსურ დანაშაულს.

ციხეში გვიზის 21-ე საუკუნის ქათული ფაშიზმის ფუძემდებელი, ქართველი ადოლფ შიკლგრუბერი, საერთაშორისო მასშტაბის ავანტურისტი, განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედი, რომელმაც თავის ბანდასთან ერთად მილიარდები გაზიდა საქართველოდან, ჩვენ კიდევ 9 მილიონის გაფლანგვაზე ვედავებით.

სერიული მკვლელი რომ დაიჭირონ და გასამართლებით ბინის ქურდობაზე რომ გაასამართლონ, სხვა დანაშაულები კი ჩამოაწერონ, დაახლოებით ისეა საკაშვილთან დაკავშირებული ამბები.

რა ხდება? კიდევ არ დამთავრდა ეს წყეული კოაბიტაცია?

საკაკაშვილმა შესანიშნავად იცის, რაც აქვს ჩადენილი და ისიც იცის, ობიექტური და მიუკერძოებელი გამოკიეგის შემთხვევაში საშუდამო პატიმრობა თუ არა, მინიმუმ, 20 ფელი გარანტირებული აქვს, ამიტომაც ცდილობს მისი გარემოცვა პრევენციული ზომების მიღებას და საკაკაშვილისთვის ფსიქიკური ავადმყოფის „ალიბის“ შეკოფვიფებას.

საკაშვილის პირადი ექიმი ნიკა ყიფშიძე, ფაქტობრივად, ღიად ლაპარაკობს, რომ მის პაციენტს ფსიქიატრი და ფსიქოლოგი სჭირდება, ხოლო ის გარემო, რომელშიც ახლა საკაშვილი იმყოფება, მის განკურნებას დაბრკოლებებს უქმნის.

ცალკე განხილვის საკითხია ექიმების თემა, რომლებიც საკაშვილს მკურნალობენ.

მსგავსი რამ სამედიცინო პრაქტიკაში, ალბათ, იშვიათი მოვლენაა: საკაშვილს ერთდროულად ექიმთა რამდენიმე ჯგუფი „მკურნალობს“, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებულ „ჩვენებებს“ იძლევიან.

ამ ჯგუფებს ახლა მარიამ ჯიშკარიანის „ემპათია“ დაემატა თავისი რვაკაციანი შემადგენლობით.

რაღა თინათინ ბოკუჩავა და რაღა მარიამ ჯიშკარიანი — ქალბატონი მარიამი გაქანებული ნაცია და, ცხადია, ექიმებსაც სანაცეთიდან მოიყვანდა.

როგორ შეიძლება რაიმე ირწმუნოს ქართველმა საზოგადოებამ ნინო ლომჯარიას და მარიამ ჯიშკარიანის „კონსილიუმების“ დასკვნებიდან მას შემდეგ, რაც „დაუძლურებულმა“ საკაშვილმა საათნახევარი შეუსვენებლად ილაპარაკა.

ოცი მედიკოსი რომ დახვევია ერთ პაციენტს, რა ხდება, პაციენტია თუ



ანატომიის კაბინეტში გამოდგმული სასწავლო ფიტული.

ხომ არ დადგა დრო, ეს სამედიცინო ხასიათის ტრაგიკომიკური სპექტაკლი დამთავრდეს და საკაშვილის ჯანმრთელობის შესახებ ქვეყანას სიმართლე ეუწყოს და ბოლოს და ბოლოს, შეწყდეს ეს პოლიტიკურად ანგაჟირებული და პიარის თემად ქცეული სპეკულაციური სამედიცინო ვაკხანალია, ამაზრზენი და სამარცხვინო თავისი შინაარსით და იმ ქვეტექსტით, რაც ამ აჟიოტაჟს უდევს საფუძვლად.

საკაშვილს რომ ბავშვობიდანვე სერიოზული ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა, ეს საყოველთაოდ ცნობილია.

ეს ისეთი პრობლემებია, რომლებიც მაღალი თანამდებობებით, გნებავთ, პრეზიდენტის სავარძელში ჩაჯდომით არ იკურნება.

პირიქით, ძალაუფლება ის მაპროვოცირებელი ფაქტორია, რომელიც ამ პრობლემებს კიდევ უფრო ამძაფრებს.

საკაშვილმა თავისი პრეზიდენტობის ცხრა წლის განმავლობაში დაამტკიცა, რომ ძალაუფლება მის ხელში ქვეყნისთვის უკიდურესად საზიფათო და საშიშია.

მან თავისი არაადექვატური ქმედებებით საქართველო სანახევროდ დაანგრია, ღმერთმა ნუ ქნას და ის ისევ რომ მობრუნდეს ხელისუფლებაში, ბოლომდე დააქცევს ქართულ სახელმწიფოს.

ის სასეირნოდ და ხინკლის საჭმელად არ შემოპარულა საქართველოში.

იმ ძალების წინაშე, რომლებიც მას დაპირდნენ, რომ უზრუნველყოფდნენ მის დაბრუნებას ხელისუფლებაში, მას ისეთი ვალდებულებები აქვს აღებული, რომელთა შესრულებაც ქართულ სახელმწიფოს შეიწირავს.

ის რომ ხელისუფლებაში დაბრუნდეს, ჩათვალეთ, რომ მოკლე ხანში საქართველო საბედისწერო ომში იქნება ჩათრეული.

ამ მისიის შესასრულებლად არის საკაშვილი საქართველოში შემოგზავნილი და მისი ეგოისტურ-კარიერისტული ამბიციები რომ ვიცით, ის ყველაფერზეა წამსვლელი.

მას უყოყმანოდ შეუძლია გასწიროს საქართველო, ოღონდ თავისი პოლიტიკური ვნებები დაიკმაყოფილოს და კიდევ ერთხელ იგემოს მონატრებული ნარკოტიკი — ძალაუფლება.

ძალაუფლებისადმი ავადმყოფური ლტოლვა — როგორც ჩანს, ესეც მისი ფსიქიკური პრობლემების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია.

საკაშვილის საკითხი — ეს არ არის მხოლოდ ერთ კონკრეტულ პიროვნებასთან დაკავშირებული საკითხი.

ეს ის თემაა, რომელთანაც პირდაპირ არის მიბმული ქვეყნის უსაფრთხოების, სტაბილურობის, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის ურთულესი პროცესები.

ასე რომ, საქართველომ უნდა იცოდეს, ვინ გვიზის ციხეში, ვის გათავისუფლებას მოითხოვს და ვის გვთავაზობს ერის წიმანძღოლად ეს უპასუხისმგებლო და იმპოტენტი ოპოზიცია, რომელსაც თვითონ არაფრის თავი არა აქვს და კიევიდან „კაცი გამოძახებით“ გამოიწერა.

საქართველოს უფლება აქვს, იცოდეს, ვინ არის ეს კაცი?

მისასალმებელია მთავრობის ინიციატივა – შევქმნათ ადამიანზე ორიენტირებული ქართული სახელმწიფო

გვესაუბრება
ივანე ჯავახიშვილის
სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
გია ჟორჟოლიანი:

— ბატონო გია, ახლახან, პრემიერ-მინისტრმა საზოგადოებას საინტერესო ინიციატივები გააცნო. მოდით, საუბარი სოციალური თემატიკით დავიწყოთ. რა კატეგორიაა თავმოყრილი სოციალურად დაუცველის სტატუსის ქვეშ? მათგან დიდ ნაწილს ხომ სინამდვილეში ის ადამიანები შეადგენენ, რომლებიც უმუშევრები არიან.

— სანამ კონკრეტულად ამ თემას შევეხები, ორიოდ სიტყვით, მინდა ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე მოგახსენოთ. პირველ რიგში,

გეტყვით, რომ მისასალმებელია ყველა ის პოზიტიური ინიციატივა, რომელიც ბოლო წლებისგან განსხვავებულ რეალობას შექმნის. ანუ, კარგი იქნება თუ „ქართული ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობას“ შორის დაუმთავრებელი კინკლაობის ნაცვლად, ქმედით წინადადებებს მოვისმენთ. ამ ორ პოლუსს შორის არსებული დაპირისპირება, რაც ყოველგვარი შინაარსისგან დაცლილია, ქვეყნის განვითარების შესაძლებლობას კლავს. პოლიტიკურ სივრცეში, ორივე მხარეს, ე.წ. ორპარტიული დიქტატურა აწყობს და ამ სისტემას შესანიშნავად ინარჩუნებენ. სამწუხაროდ, დღეს ქვეყნის ინტერესები მეორეხარისხოვანია და მომსწრენი ვართ ბრძოლისა, რომელიც ამ ორ პარტიას შორის ძალაუფლების მოხვეჭისთვის მიდის. არსებულ ვითარებაში, ნებისმიერი ინიციატივა, რაც მოსახლეობის ინტერესებს მოერგება, რასაკვირველია, საქმეს სასიკეთოთ წაადგება და საზოგადოებაც მსჯელობას ამ მიმართულებით დაიწყებს. საზოგადოებას უნდა დავანახოთ, რომ ეს ინიციატივები მისთვის მნიშვნელოვანია. რუსეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა ასეთი რამ თქვა: ჩვენ გვინდოდა უკეთესი გაგვეკეთებინა და გამოვიდა, ისე როგორც ყოველთვის. ჩვენს შემთხვევაშიც ასე რომ არ მოხდეს, პრემიერ-მინისტრის ინიციატივები, „ქართული ოცნებისა“ და ნაცების კინკლაობის საგანად არ უნდა იქცეს. ახლა კი, კონკრეტულად სოციალურად დაუცველის სტატუსს შევეხოთ. მსჯელობა მიდის იმაზე, თითქოს, ხალხი ზარმაცია, ტყუილად ყოფნას მიეჩვია, ოღონდ, არ იმუშაოს და თურმე, სოც.დახმარებით ძალიან კმაყოფილია. სინამდვილეში, საქმე ის გახლავთ, რაზეც ყურადღება თქვენც გაამახვილეთ — ეს, დიდწილად, სოციალური კი არა, არამედ უმუშევრობის დახმარებაა. ქვეყნის მასშტაბით, დაახლოებით, 600 ათასამდე სოციალურად დაუცველი გვყავს. მათგან, 200 ათასამდე პირი 16-დან 60 წლამდე ასაკისაა და სავსებით შრომისუნარიანია. ამ რიცხვში, შეიძლება, ზოგი შრომისუუნაროც იყოს, მაგრამ ასეთი საკმაოდ დაბალი პროცენტია. როგორ ფიქრობთ, ამ ადამიანებს დასაქმების შესაძლებლობა რომ ჰქონდეთ, არ დასაქმდებოდნენ?! სოციალური დახმარება, ერთ სულზე, თვეში 40 ლარია. სოც.დაუცველები, მეტწილად, ერთი ოჯახის წევრები არიან, ხომ. სოციალურად დაუცველის სტატუსი ადამიანს მისი საოჯახო ცხოვრების აღწერილობის მახასიათებლებით ენიჭება. მაგალითად, აქვს თუ არა ტელევიზორი, მაცივარი და ა.შ. დღეს, 200 ათასი ადამიანის დასაქმება სერიოზული პრობლემაა. ცალსახად, ერთი რამ მისასალმებელია: მთავრობამ აღიარა, რომ ამ ხალხზე ზრუნვა მისი საქმეა. 200 ათასი ადამიანის დასაქმება შრომის ბაზარზე ნამდვილი გარღვევაა. საქართველოში, მთლიანი მასშტაბით, დაახლოებით, 400 ათასი ადამიანია უმუშევარი. ანუ, ვინც სტატისტიკურად აღიწერება როგორც უმუშევარი და არა სამუშაოს მაძებარი. მათ არ აქვთ იმედი, რომ ამ ფორმით სამუშაოს შოვნას შეძლებენ.

იმ ადამიანების რიცხვი ვისაც მართლა არ უნდა მუშაობა, 2–3%-ს არ აღემატება. უბრალოდ, მათ, სამსახური ვერ იშოვეს. როგორ შეიძლება ადამიანს თვეში მხოლოდ 40 ლარი აკმაყოფილებდეს, ამით ხომ პურსაც ვერ იყიდი?! სოფელში, გარკვეული პროდუქტის სახით, შეიძლება, რაღაც შემოსავალი კიდევ აქვთ. ვთქვათ, თანხობრივად თუ ვიტყვით, იმ 40 ლარს შეიძლება კიდევ 50 ლარი დაემატოს. 30 დოლარად ცხოვრება ეს სიღარიბის სიღარიბეა. საზღვარგარეთ, ეს, სიღატაკის ზღვრად ითვლება. ასეთი ცხოვრებით კმაყოფილი როგორ უნდა იყო?! ვიმეორებ: ვინც ამ ხალხს ზარმაცს უწოდებს, ის ქართველ ერს შეურაცხყოფს. ახლა, საუბარია იმაზე, რომ სოციალურად დაუცველებს ეს დახმარება უნდა მოეხსნათ. აქ, დადებითი მომენტი ის გახლავთ, რომ მთავრობა სამუშაო ადგილების შექმნაზე ზრუნვას იწყებს. ეს ნიშნავს, რომ სოც.დაუცველების მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს. თორემ, თუ გაწეულ სამუშაოში, ისევ, 40 ლარი გადაუხადე, ეს მათი უუფლებო მონებად ქცევა იქნება. საბედნიეროდ, მთავრობაში სერიოზული ადამიანები არიან. მაგალითად, ერთ-ერთია სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილი. მან განაცხადა: ჩვენი მიზანია პირველ წელს 50 ათასი ადამიანი დავასაქმოთო. დასაწყისისთვის ეს საკმაოდ დიდი რიცხვია.

ყველაფერი კარგად უნდა დაიგეგმოს და გაანალიზდეს. მსგავსი პოლიტიკა, აქამდე, მთავრობას არ ჰქონია. მესამე — როგორ მოვიზიდოთ საჭირო ფინანსები. მოკლედ, უმუშევრობის პრობლემის აღმოფხვრა სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, გამოიკვეთოს პრიორიტეტები, მიმართულებები. ზოგადად, ეს შრომის პოლიტიკად უნდა ვაქციოთ. დიახ, ეს არა სოციალური დაცვის ჩამნაცვლებელი, დასაქმების პოლიტიკა უნდა გახდეს. დასაქმების პროგრამაში ის 200 ათასი ადამიანიც უნდა ჩართონ, ვინც სოციალურად დაუცველი არ არის, მაგრამ უმუშევარია. შესაძლოა, უმუშევრობისა და სოც.დახმარება კლასიფიცირდეს. ბევრი ვარიანტი არსებობს. კონკრეტული მსჯელობები უნდა გაიმართოს. სოციალური შემწეობებისა და დასაქმების კუთხით, ძირითადად, ორი სამინისტრო მუშაობს — ჯანდაცვისა და ეკონომიკის. ისინი, ამ კუთხით, მცირე პროგრამებს ახორციელებდნენ, მაგრამ ეს ეფექტური არ იყო. თუმცა, მეთოდოლოგიის მიმართულებით, ნაბიჯები გადადგმულია.

— ადრე, ქართველს სიღარიბის რცხვენოდა, თუმცა ახლა, თავად ითხოვს ამ პროგრამაში მოხვედრას.

— დამიჯერეთ, არცერთ ადამიანს თუ იგი დავრდომილი არ არის და შრომა შეუძლია, სოც. დახმარების 40 ლარზე ყოფნა არ უნდა. სოც.დახმარება, ფსიქოლოგიურად, მძიმე მდგომარეობაა. ის, რომ დიდი ხნის უმუშევარი ადამიანი შრომის უნარებს კარგავს. ეს მარტივი საკითხი როდია. მთავრობამ ყინული დაძრა და ხალხის დასაქმებაზე ფიქრი დაიწყო, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. შრომის უნარების აღდგენა წამიერად ვერ მოხდება. მე რომ მითხრან: ტრაქტორის მძღოლად დაიწყე მუშაობაო, ვერ შევძლებ. ვერც თქვენ გახდებით უცებ ექთანი, ხომ. ასე არ არის, ამას სწავლა უნდა, რაც დიდ ფინანსებს საჭიროებს. მაგრამ სანამ სწავლის პროცესში ვიქნები შესაბამისი სახსრები უნდა მქონდეს ან სტიპენდია. თუ კონკრეტულ პირს ეცოდინება, რომ მას ვიღაც ხელს წაუკრავს იმისთვის, რომ აუცილებელი უნარები შესძინოს და შემდგომ იმუშაოს, რეალიზდეს, გარწმუნებთ, ამაზე უარს არავინ იტყვის.

— ბატონო გია, ღარიბაშვილის კიდევ ერთი ინიციატივა წამლის ბაზრის დარეგულირებას ეხება. ამის განხორციელება როგორ გესახებათ?

— ამ თემაზე საუბარი რა ხანია გვესმის. წამლის ბაზრის რეგულირების სხვადასხვა ვარიანტი არსებობს. მედიკამენტები, ერთგვარად, აუცილებელი პროდუქტი გახლავთ, რის გარეშეც ადამიანი ვერ გაძლებს. შეიძლება მან ტელევიზორი, მაცივარი არ იყიდოს, მაგრამ პირველი რასაც უცილობლად შეიძენს, ეს წამალი გახლავთ. წამალზე ხელმისაწვდომობა ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამის უზრუნველყოფას მხოლოდ კერძო სექტორს ვერ დავავალებთ. როცა ევროკავშირში გაწევრიანებაზე ვსაუბრობთ, ეს რას ნიშნავს — საფეხბურთო ლიგაა თუ რისთვის გვინდა იქ შესვლა? — იმავე, სტანდარტებით რომ ვიცხოვროთ, ხომ. ეს მხოლოდ შესვლით კი არ მიიღწევა, არამედ იქ, არსებული პირობების დაკმაყოფილებით. ევროკავშირში გაწევრიანების წესები შემდეგია: პროგრესული გადასახადების დაწესება, დასაქმებაზე, ჯანდაცვაზე,

4 ბ3.

მისასალმებელია მთავრობის ინიციატივა – შევქმნათ ადამიანზე ორიენტირებული ქართული სახელმწიფო

3 გვ.

განათლებასა და შრომის ბაზარზე პასუხისმგებელი, მზრუნველი სახელმწიფო და ა.შ. აი, ასეთი სახელმწიფო უნდა შევქმნა თ. მე, ვარ ევროპელის ძახილი საქმეს არ შველის. რატომ ხარ ევროპელი? — ქართველი ხარ. იქ, ზოგი უნგრელია, ზოგი ჩეხი, ზოგი ესპანელი და ა.შ. მაგრამ რა წესები აქვთ? ჩვენ, ევროკავშირში რომ შევიდეთ, 50% მაინც მისი კანონებით უნდა ვიმოქმედოთ. ღარიბაშვილის ინიციატივებს, ერთი რამ უდევს საფუძვლად: დასაქმების, განათლების პოლიტიკა, სახელმწიფო

შემოსავლები, განვითარებული ეკონომიკა და ა.შ. ამ თემებზე პარლამენტშიც, „საერთო გაზეთშიც“ არაერთხელ მისაუბრია, თუმცა ყურს არავინ უგდებს.

საქმე ის გახლავთ, რომ ამ ყველაფერში კოვიდ-პანდემიამ ძალიან დიდი როლი ითამაშა. სინამდვილეში, როცა ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პანდემიამ აღნიშნული მთელ მსოფლიოში შეამცირა. მათ შორის, საქართველოშიც, სადაც უმუშევართა რაოდენობა, დაახლოებით, 2%-ით გაიზარდა. დიახ, სამუშაო ადგილები შემცირდა და კიდევ შემცირდება. შეიძლება ლოქდაუნებიც მოგვიწიოს, რადგან ახალი შტამები ვრცელდება. ბევრი ქვეყანა უკვე გადადის ლოქდაუნზე. აქ, ახალი შტამები რომ გაჩნდეს, კატასტროფულ ვითარებას მივიღებთ, დაბალი ვაქცინაციის გამო. ამ ყველაფერმა სახელმწიფო აიძულა საკუთარ თავზე მეტი პასუხისმგებლობა აეღო. მას აღარ აქვს ფული, რაც აქამდე, ვითომ, ყოფნიდა. ამიტომ არის მცდელობა გადასახადები გაიზარდოს, შეიქმნას სამუშაო ადგილები, რაც შექმნის გარკვეულ პროდუქციას, რომელიც რეალურად, უმუშევარ ადამიანებს უზრუნველყოფს. ოღონდ, სამუშაო ადგილები რეალური უნდა იყოს და არა ოთხ თვიანი, ისეთი „ნაციონალების“ მთავრობის დროს რომ შეიქმნა.

— ბატონო გია, ბოლოს, პრემიერის მესამე ინიციატივაც შევაფასოთ: რას ფიქრობთ, ონლაინ კაზინოებისთვის გადასახადების გაზრდასა და შემდგომ მათ გაუქმებაზე?

— ზოგადად, საქართველოში, მაღალ შემოსავლებზე გადასახადები გასაზრდელია. ზემოთ, სავალუტო ფონდი ვახსენე. იგიც კი, იგივეს ამბობს. თუმცა, როგორც აღვნიშნე 30 წლის წინ პროგრესული გადასახადის დაწესების რადიკალური მოწინააღმდეგე გახლდათ. საქმეში ჩაუხედავი ადამიანი ამბობს: მოდი, სათამაშო ბიზნესს მეტი გადასახადი დავაკისროთო და ასე, მის დასჯას ფიქრობს. ეს დასჯა არ გახლავთ. თუ საზოგადოებისთვის საზიანო საქმეს აკეთებ, მაგრამ გადასახადს მეტს იხდი, ეს არაფერში გვჭირდება. თუ ეს ადამიანებს ღუპავს — სუიციდებს იწვევს, ოჯახებს ანგრევს, ბინებს აყიდინებს, ვალში აცხოვრებს, ასეთი საქმიანობა შემოსავალსაც არ უნდა მაძლევდეს. ეს უნდა ავკრძალოთ. გადასახადის გაზრდა ამის პასუხი ვერ იქნება. თუმცა, თავისთავად, გადასახადის გაზრდა კარგი საქმეა. იმიტომ, რომ თუ მაღალ შემოსავლებზე მაღალი გადასახადები არ დავაწესეთ, შესაძლებლობა არ გვექნება სახელმწიფომ რაიმე პოლიტიკა გაატაროს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

სააკაშვილს უკრაინულ ციხეშიც ელოდებიან

გვესაუბრება
პოლიტიკისა და სამართლის
ობსერვერი, ადვოკატი
გრიგოლ გაგნიძე

— ბატონო გრიგოლ, როგორც უფლებადამცველი, როგორ შეაფასებთ სახალხო დამცველის მხრიდან ექსპრეზიდენტის თავგადაკლულ დაცვას?

— სამწუხარო ფაქტია, რომ ჩვენი სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია ოპოზიციის დღის წესრიგით მოქმედებს და არ იქცევა კანონის შესაბამისად. გამოითქვა, ასევე, პრეტენზიები მსჯავრდებულების მხრიდანაც მის მიმართ, რადგან ასე გულმოდგინედ მას არც ერთი პატიმარი არ დაუცავს.

სიმართლე უნდა ითქვას, ქალბატონი ლომჯარია თავის ქმედებებში სრულიად თავისუფალია და მას არ ზღუდავს სახელმწიფო კონიუნქტურა.

კარგად მახსოვს, 2010 წელს სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში თავს ვერ აღწევდა მაშინდელი ხელისუფლების მარწუხებს — როცა საფრანგეთის ადვოკატთა ობსერვატორიიდან დელეგაცია იმყოფებოდა საქართველოში, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი ტუღუში მოიწვია სხდომაზე დასასწრებად: გიორგი ტუღუშმა წერილობითი პასუხი გამოუგზავნა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს — სხდომას ადეიშვილის თანხმობის გარეშე ვერ დავესწრებიო.

წარმოიდგინეთ, რამხელა ზეწოლის ქვეშ იყო მაშინ სახალხო დამცველი.

დღევანდელი სახალხო დამცველი აბსოლუტურად თავისუფალია და ეს ხელისუფლების პლუსად შეიძლება ჩაითვალოს.

იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოება ნათლად ხედავს სახალხო დამცველის აშკარა მიკერძოებულობას, გაისმა ზარები მისი უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე. პროცედურულად მის საკითხს, მოგეხსენებათ, პარლამენტი წყვეტს, რადგან ის უჭერს მხარს კანდიდატურას სახალხო დამცველის პოსტზე და მასვე აქვს მექანიზმი მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

— ბატონო გრიგოლ, რას ფიქრობთ, მიხეილ სააკაშვილი მისჯილ 6 წელიწადს ქართულ ციხეში მოიხდის?

— ევროპარლამენტარები, ამერიკის ოფიციალური პოლიტიკური პირები, დიპკორპუსის წარმომადგენლები მოუწოდებენ ჩვენს ხელისუფლებას მოიქცნენ სამართლიანად.

იმის მიუხედავად, რომ სასამართლო სისტემა რეფორმების პროცესშია და არსებობს მის მიმართ შენიშვნები, სასამართლოს არავინ აძალებს სააკაშვილის გათავისუფლებას.

მაგალითად, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი გასამართლებულია. სხვა ქვეყნების პირველ პირებზეც აღსრულდა მართლმსაჯულება, თუმცა სააკაშვილის შემთხვევა იმით განსხვავდება, რომ ოპოზიციას სურს ის გმირად წარმოაჩინოს.

დესტრუქციულ ძალებს, რომლებმაც სააკაშვილი საქართველოში ჩამოაპარეს, ცხადია, არეულობა უნდოდათ, რაც ვერ განახორციელეს და იმედია, ვერც აწი განახორციელებენ.

პატიმარი ექსპრეზიდენტის ჯანმრთელობის მუდმივი მონიტორინგი მიმდინარეობს. ის ამჟამად ემოციონალურ კრიზისს განიცდის, რაც ნებისმიერ ტუსაღს აქვს საპატიმროში მოხვედრიდან 5–6 თვის განმავლობაში.

პატიმრის დროებით გათავისუფლება ხდება ისეთი მძიმე დაავადებების შემთხვევაში, როცა, ვთქვათ, მას აქვს შიდსის მძიმე კატეგორია, სიმსივნური დაავადებები და ა. შ. რაც სააკაშვილს არ აღენიშნება. ასე რომ, მისი გათავისუფლება კანონმდებლობით არ იქნება გამყარებული ახლანდელი მონაცემებით.

ახლახან გავიგეთ, რომ მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში კორუფციულ გარიგებებში დაუდანაშაულებიათ, თუ ეს დადასტურდა უკრაინის პროკურატურის და სასამართლოს მიერ. შესაძლოა, უკრაინამ მისი ექსტრადაცია მოითხოვოს და იქ მოიხადოს გათვალისწინებული სასჯელი.

თუმცა, ჩემი აზრით, ეს იქნება ფორმალურად გათამაშებული პროცესი და უკრაინაში მას, სავარაუდოდ, გაათავისუფლებენ. მაგრამ ეს ჯერ საუბრებია და ვნახოთ, პროცესები როგორ განვითარდება.

— ჩვენთან რომ აქვს უკვე მისჯილი 6 წლიწადი, ეს გაუნულდება?

— საერთაშორისო სამართლის კუთხით თუ განვიხილავთ, უკრაინის მართლმსაჯულებას შეუძლია სასჯელის კონვერტირება მოახდინოს და იქ მოახდევინოს საქართველოში მისჯილი სასჯელი უკრაინის სასამართლოს მიერ მისჯილთან ერთად. ამაზე უკრაინის სასამართლო სისტემამ უნდა იმსჯელოს.

თუ საქართველოს სს კანონმდებლობით მისჯილი სასჯელი უკრაინის მართლმსაჯულებამ უგულებელყო, ეს, ცხადია, ჩვენი ქვეყნის სასამართლო სისტემის შეურაცხყოფა იქნება.

საქართველოს ხელისუფლებას უფლება აქვს ჯერ აქ მოახდევინოს სასჯელი და მერე გადასცეს სხვა ქვეყანას.

ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, დამტკიცდება თუ არა ბრალდება უკრაინაში სააკაშვილის კორუფციაში მონაწილეობის შესახებ, მაგრამ უკრაინის მხარემ ის აღიარა, რომ სააკაშვილმა უკანონოდ გადაკვეთა საზღვარი და, სავარაუდოდ, ამაზე დადგება ექსპრეზიდენტის სს პასუხისმგებლობა.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

სკანდალური ინფორმაცია - სააკაშვილი არც კონტეინერებში მჯდარა და არც ტრაილერში. ის ნიკოლაევის დახურული პორტიდან შემოაპარეს, შემდეგ კი ფოთიდან თბილისში წითელნომრიანი დიპლომატიური ავტომანქანით ჩამოიყვანეს

სააკაშვილი გახლავთ სოციოპათი, რომელიც ბნელი ტრიადის ცნობილი ფსიქიატრიული დაავადებით არის დასნებოვნებული, რაც მთლიანობაში აერთიანებს მაკიაველიზმს, ფსიქოპათიას და ნარცისიზმს

გვესაუბრება
დამოუკიდებელი
უფლებადამცველი
დიმიტრი ლორთქიფანიძე:

— ბატონო დიმიტრი, სააკაშვილი მოგვიწოდებს: შეიქმნას ფონდები და საზოგადოებამ მისი ციხიდან გათავისუფლება უზრუნველყოს. რას ფიქრობთ, მიმდინარე პროცესებზე, რა განვითარებას უნდა ველოდოთ?

— თვალსაჩინოებისთვის, მოდით, პირველ რიგში, საზოგადოებას გავახსენოთ რა „ჰეროიკული“ დაპირება გასცა სააკაშვილმა კიევში ყოფნისას: 2 ოქტომბერს

კიევი-თბილისის რეისით საქართველოში მოვფრინავ და გამარჯვებას ერთად ვიზეიმებთო. როგორც ცნობილია, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე აღძრული განაჩენი, უკვე, დამდგარია და შესაბამისად, ძებნილ, მსჯავრდებულ სააკაშვილს ტრაპზევე ხელბორკილებს დაადებდნენ. ანუ, მიშა ღიად აცხადებდა, რომ ციხეში ჩაჯდომის არ ეშინოდა. მეტიც, იქედან, როგორც ნელსონ მანდელა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობას გააგრძელებდა და მის მიერ რწმუნებულ „ნაცმოძრაობას“ გამარჯვების კარამდე მიიყვანდა. სინამდვილეში, სააკაშვილი კიევიდან, ვითომ, გამოფრენამდე რამდენიმე დღით ადრე, ნიკოლაევის დახურული პორტიდან შემოაპარეს. იგი, ოთხი დღე არავითარ კონტეინერებში არ მჯდარა. ვინც სააკაშვილის ფსიქოტიპს იცნობს, ამ ზღაპარს არავინ დაიჯერებს. ის გახლავთ სოციოპათი, რომელიც ბნელი ტრიადის ცნობილი ფსიქიატრიული დაავადებით არის დასნებოვნებული, რაც მთლიანობაში აერთიანებს მაკიაველიზმს, ფსიქოპათიას და ნარცისიზმს. დიახ, სააკაშვილი არის საკუთარ თავში შეყვარებული, თვითდაჯერებული ფსიქოპათი, რომელიც კომფორტის მოყვარულია და რა თქმა უნდა, ამ „მძიმე გზას“ — ოდესიდან თბილისამდე კონტეინერებთან და მაცივრებთან ერთად არ გამოივლიდა. მან კონტრ-ვერსიად ისიც გვითხრა: თითქოს, გაიტაცეს, სახეზე „რუმიანა“ წაისვა, ვითომ, მაცივარში ყოფნისგან სახე მოეყინა. ანუ, ის გახლავთ მდიდარი ფანტაზიით დაჯილდოებული ფსიქოპათი, რომელიც მიზნის მისაღწევად, ნებისმიერი, სცენარისთვის მზად არის. როგორც მოგახსენეთ, იგი, ნიკოლაევის დახურული პორტიდან გარკვეული სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოში შემოიყვანეს. მისი გადაადგილება ფოთიდან თბილისამდე უზრუნველყოფილი იყო წითელნომრიანი დიპლომატიური მანქანით. რომელი ქვეყნის მანქანა იყო ეს, ამით პროკურატურა უნდა დაინტერესდეს. ჩემი ინფორმაციით, ყველასთვის ყველაფერი შესანიშნავად არის ცნობილი, თუმცა, რატომღაც, ხმას არ იღებენ. სააკაშვილი ამ მანქანით მგზავრობდა, თან, დაუსჯელობის სინდრომით გათამამებული სელფებს იღებდა, რადგან იცოდა, რომ წითელნომრიან ავტომობილს ვერავინ შეეხებოდა. სცენარი ასეთი იყო: საარჩევნო ხმების დათვლის შემდეგ, უნდა აღმოჩენილიყო, რომ „ქართულმა ოცნებამ“ 43%-ზე ნაკლები მიიღო, რის შედეგადაც, ხალხს 14 ოქტომბრის მსგავსად ქუჩაში გამოიყვანდნენ და რევოლუციას მოაწყობდნენ. 14-ში თავისუფლების მოედანზე შეკრიბეს ხალხი, რომელთაც 100-ლარიანები დაურიგეს, რათა დასავლეთისთვის გაეჩინათ განცდა, თითქოს, ნახევარი საქართველო მხარს მათ უჭერს. დრონებით გადაღებულ მასალას, დასავლეთს უგზავნიდნენ. ნაცმოძრაობის და მისი ტელევიზიების მიერ დაკვეთილ სოციოლოგიურ კვლევებში „ქართულ ოცნებას“ 38% ჰქონდა, რითაც დასავლეთს აიმედებდნენ. ასეთ შემთხვევაში კი დგებოდა საკითხი შარლ მიშელის დოკუმენტში არსებული პირობის ამოქმედების, რაზეც ბუნებრივია, „ქართული ოცნება“ უარს იტყოდა, ნაცები კი პროტესტის ნიშნად ხალხს ქუჩაში გამოიყვანდნენ და უცებ, 50–60 ათასი ადამიანის თავყრილობაზე სააკაშვილი გამოჩნდებოდა. მისი მოწოდება, რა თქმა უნდა, რევოლუციური ხასიათის იქნებოდა, რასაც ძლიერი ვნებათაღელვა მოჰყვებოდა. ასე განხორციელდებოდა მოლდოვაში, კიშინიოვში მომხდარი რევოლუციის მსგავსი ამბავი, როდესაც ოლიგარქ ვლადიმირ პლახოტნიუკის მაგივრად, დასავლეთის დესპანი მაია სანდუ მოიყვანეს. კიევის მაიდანი 5 მილიარდი დაჯდა. მაშინ ნულანდი თაფლაკვერებს არიგებდა, მათრახის როლი კი ოპოზიციამ ითამაშა. ჩვენ შემთხვევაში გათამაშდებოდა მოლდოვას სცენარით ნაკლებსისხლიანი ვერსია და სააკაშვილი უპირობო ლიდერობას გაინაღდებდა. აი, ეს გახლდათ ჩანაფიქრი. მასთან ერთად პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაებმებოდნენ ის პოლიტიკური პარტიები, რომელთაც 28 ივლისს გეი-მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

ეს პარტიებია: 1. „ნაცმოძრაობა“ — მიხეილ სააკაშვილი, ნიკანორ მელია, 2. „გირჩი“ — იაგო ხვიჩია, 3. „ევროპული საქართველო“ — გიგა ბოკერია, 4. „გირჩი მეტი თავისუფლება“ — ზურა გირჩი ჯაფარიძე, 5. „რესპუბლიკური პარტია“ — ხათუნა სამნიძე, 6. „კანონი და სამართალი“ — თაკო ჩარკვიანი, 7. „სტრატეგია აღმაშენებელი“ — გიორგი ვაშაძე, 8. „ლელო“ — მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე, 9. „რეფორმერი“ — თორნიკე ჯანაშვილი, 10. „მოძრაობა დროა“ — ელენე ხოშტარია, 11. „სამართლიანობისთვის“ — ეკა ბესელია, 12. „ერთიანი დემოკრატიული საქართველო“ — ნინო ბურჯანაძე, 13. „თავისუფალი დემოკრატები“ — თამარ კეკენაძე, 14. „პროგრესი და თავისუფლება“ — ცეზარ ჩოჩელი, კახა ოქრიაშვილი, 15. „გამარჯვებული საქართველო“ — ირაკლი ოქრუაშვილი, კოტე კემულარია, ვალერი გელბახიანი, გუბაზ სანიკიძე. ეს პარტიები მზად არიან, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, ამერიკისა და ევროკავშირის მხარდაჭერით, ძალთა ბალანსის ცვლილება მოხდეს და ისინი უმრავლესობით მოვიდნენ. ამ სიას თუ გადახედავთ, ყველა მათგანი „ნაცმოძრაობაში“ ნამყოფი პირია. ეს გახლავთ, რეალურად, „ნაცმოძრაობა“, რომელიც ამჟამად, 15 სხვადასხვა პარტიად არის დაშლილი. მათი მიზანი მომავალი თაობების დაღუპვა და განადგურებაა. დიახ, ამ პარტიების მისია, სწორედ, მომავალი თაობების დეგრადაციაა. ლიბერალური დასავლეთისთვის ეს მთავარი იარაღია. ეს არის ეშმაკისათვის სულის მიყიდვის აქტი, ხოლო ამისთვის დასავლეთი მზად არის ამ ყურუმსაღებს ხელისუფლება დაუთმოს. მაქვს იდეა: შევქმნა ფონდი და მთავარი ქალაქების გასასვლელებში გამოვაკრა დიდი ბანერები, სადაც ჩამოთვლილი იქნება ამ პარტიის ლიდერების სია და ის, თუ რას მოაწერეს ხელი. ხალხმა უნდა იცოდეს, ვის აძლევს ხმას.



— ბატონო დიმა, ჩემთან საუბრისას ახსენეთ, საქმე ისე მიდის, შესაძლოა სააკაშვილის შეწყალებას ამზადებდნენო. რა მოჰყვება ამ ყველაფერს?

— მსჯავრდებული ადამიანი რომ გათავისუფლდეს, ამისთვის სამი თეორიული შესაძლებლობა არსებობს: 1. პრეზიდენტმა მსჯავრდებული შეიწყალოს. 2. სასჯელის ვადის დინების კონკრეტულ ვადაში პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიამ სასჯელის მოუხდელი ნაწილისგან სრულად გაათავისუფლოს. 3. მძიმე და უკურნებელი სენით დაავადებული პირი აქტირების საფუძველზე შეიძლება გათავისუფლდეს ვადიანი სასჯელის მოხდის დინებისგან.

პირველი ვარიანტი შეწყალების თაობაზე გამორიცხულია, პრეზიდენტის პოზიციიდან გამომდინარე. აქვე, ღარიბაშვილმაც განაცხადა, რომ არ არსებობს მსოფლიოში სახელმწიფო ცენზის მატარებელი პირი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას აიძულებს მიხეილ სააკაშვილი მათ გადასცენ. პირობით ვადაზე ადრეც ვერ გათავისუფლდება, ეს გამორიცხულია იმიტომ, რომ პროცესი ახალი დაწყებულია და მინიმუმ, ნახევარი ვადა მაინც უნდა იყოს გასული. როგორც ჩანს, სააკაშვილი ციხეში სამი წელი ჯდომას არ აპირებს. აქცენტი კეთდება მესამე პუნქტზე. სწორედ, ამას არის ჩაბღაუჭებული ე.წ. ალტერნატიული კონსილიუმი, რომელსაც მარიამ ჯიშკარიანი ხელმძღვანელობს. იგი არის ორგანიზაცია „ემპათიას“

6 გვ.

5 გვ.

ხელმძღვანელი. ეს არის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც „მოღვაწეობა“ დღეს არ დაუწყია, არამედ სააკაშვილის რეჟიმის დროს, როცა ციხეებში მიმდინარეობდა პატიმრების წამება, არაადამიანური მოპყრობა ყოველდღიური ნორმა გახლდათ, რაც მასობრივ ფსიქოზებს, ფსიქიკურ აშლილობებს იწვევდა. მაშინდელ პერიოდზე, მარიან ჯიშკარიანის ვერცერთ ანგარიშში, მწვავე შეფასებებს ვერ ნახავთ. იგი, იმდროინდელ სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან ერთად, უნისონში მოქმედებდა და დანაშაულებრივ, კაცთმოძულე სააკაშვილის რეჟიმს „აპრავებდა“, რომლის პირობებში 300 ათასი პრობაციონერი მივიღეთ, ევროპაში პირველ ადგილზე ვიყავით პატიმრების ოდენობით და გამამართლებელი განაჩენების რიცხვი 0, 0019 იყო. იმიტომ, რომ არც არვის ათავისუფლებდნენ და არც არავის ამართლებდნენ. მარიამ ჯიშკარიანის ოფისები, უშუალოდ, ციხის შენობებში იყო განთავსებული. მაგალითად, მატროსოვის ციხეში ერთ-ერთი კორპუსის პირველ სართულზე კაბინეტს ეწერა „ემპათია“. დიახ, ჯიშკარიანი ციხის ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიურად იყო ჩართული და მისი ვალდებულება გახლდათ მაშინ პატიმრებში გავრცელებული მასობრივი ფსიქო-

სააკაშვილი არც კონტეინერებში მჯდარა და არც ტრაილერში...

ზების გასაჯაროება. სააკაშვილს სახალხო დამცველიც და „ემპათიის“ ხელმძღვანელიც ჯიბეში ეჯდა და ვინ დაწერდა მწვავე დასკვნებს არსებულ რეალობაზე. დღეს, მარიამ ჯიშკარიანი სააკაშვილის მთავარ ადვოკატად მოგვევლინა და აცხადებს: მიშას მიმართ წამება განხორციელდაო. საქმე იქეთკენ მიდის, რომ განაცხადებენ: სააკაშვილს პოსტ.ტრავმული აშლილობა აქვს და უნდა გათავისუფლდესო. სამედიცინო დასკვნის დადების ნაცვლად, უნდათ სალომე ზურაბიშვილი აიძულონ სააკაშვილი შეიწყალოს. თუკი ეს მოხდება, დარწმუნებული ვარ, ღარიბაშვილი იძულებული გახდება თანამდებობიდან გადადგეს, ავტომატურად დაინიშნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დასავლეთის გეგმა ამოქმედდება და 15 გეი-პოლიტიკურ პარტიას პარლამენტში მწვანე შუქი აენთება.

„საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან, მინდა ირაკლი ღარიბაშვილს მოვუწოდო: ვალდებული ხართ, სამართლიანი სამართლებრივი გარემოს აღდგენის პირობით, ყველა საქმე ბოლომდე მიიყვანოთ, მათ შორის, გამოააშკარავოთ მაღალი თანამდებობის პირების ელიტურ კორუფციაში ჩართულობა, მათი მონაწილეობა ქვეყნის მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერორისტულ აქტებში, რომლებიც ახალგაზრდებს, ნულოვანი ტოლერანტობის დევიზით, კლავდნენ, ქუჩებში ხოცავდნენ. აქვე, არ უნდა დაგვავიწყდეს დავით გარეჯის საქმე, სადაც სააკაშვილის ბრალეულობა იკვეთება. ასევე, წაგებული ომის ისტორია. მაშინდელი თავდაცვის მინისტრი ოფშორებში გატანილი თანხებით მილიარდერი გახდა, რითაც დღეს მედია-ტერარიუმს „ფორმულას“ აფინანსებს. ეს ყველაფერი სამართლებრივ შეფასებას მოითხოვს. **თქვენ, ოლონდ, იმოქმედეთ, ბატონო პრემიერო და მთელი საქართველო გვერდით დაგიდგებათ.** თუ მართლა არსებობს პოლიტიკური ნება იმისა, რომ „ნაცმოძრაობა“ დასრულდეს, მაშინ ამის დრო სწორედ ახლა არის.

სააკაშვილის მიმართ უკვე დაწყებული საქმეების გარდა, არსებობს, მინიმუმ, ორი უმძიმესი საქმე, რომელიც დაკავშირებულია აგვისტოს ომის მოვლენებთან და დავით გარეჯთან. სააკაშვილს პასუხი უნდა მოეთხოვოს შემდეგზეც: დაწყებული წითელი ხიდიდან დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიებით დამთავრებული, 3600 ჰექტარი მიწის გადაცემის ფაქტთან დაკავშირებით. ასევე, დანაშაული იკვეთება შემდეგ გარემოებაშიც: სააკაშვილის მმართველობის დროს ხუჯაბის სამონასტრო კომპლექსი, დე-ფაქტო სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. დიახ, სააკაშვილის მმართველობის დროს ჩვენი, არაერთი ტერიტორია, საბოლოო ჯამში, სხვის ხელში აღმოჩნდა. რეალურად, სააკაშვილი ამით დიდ ელიტურ კორუფციაში მონაწილეობდა. ახლა, ვხედავთ, რომ ეს ქვეწარმავალი, აპირებს კვლავ შემოგვიცოცდეს. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სააკაშვილს გათავისუფლებას უპირებენ, ვითომდა, წამებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობის დადასტურების გამო. არ მინდა დავიჯერო, რომ ხელისუფლება ამაში მონაწილეობას მიიღებს. ზუსტად ვიცი, ასე თუ მოხდება, იმ დღიდან მთელი ერი „ქართული ოცნების“ მტერი გახდება. მერე, ამას რა მოჰყვება და როგორ განვითარდება მოვლენები, ამაზე ოპტიმისტური განცხადებების გაკეთება ძალიან გამიჭირდება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

საქართველო - რკინის წარმოების ისტორიული სამშობლო

15 ნოემბერს, თბილისში, მწერალთა სახლში გაიმართა მწერლის, ფილოსოფოსისა და საზოგადო მოღვაწის — ნიაზ ბოლქვაძის წიგნის „უძველეს კოლხ-იბერიელთა საიდუმლოება. არდავიწყება საკაცობრიო ცივილიზაციის საწყისებისა“ (წიგნი გამოიცა ქართულ და ინგლისურ ენებზე) განხილვა.

წიგნი ეძღვნება დედამიწაზე რკინის მეტალურგიის ჩასახვისა და მისი განვითარების ისტორიას. ნაშრომში სიღრმისეული ანალიზით, მოკლედ და საინტერესოდ არის წარმოდგენილი 3000 (სამი ათასი) წლის წინათ საქართველოში, უძველესი კოლხეთის ხეობების დაბურულ ტყეებში საიდუმლოდ რკინის წარმოების ამსახველი სურათი და ამ საიდუმლოების დაცვის ხერხები, რაც დღემდე გამოუცნობი იყო და სიახლეს წარმოადგენდა ამ მხრივ. აქვე წარმოდგენილი არის ახლებური მიდგომა უნიკალური, ქართული და ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, უძველეს კოლხ-იბერიელთა რკინის სადნობი სახელოსნოების გადარჩენისა და პოპულარიზაციის მიზნით.

წიგნის რეცენზენტები არიან:

იულონ გაგოშიძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არქეოლოგი;

ჯემალ მიქელაძე — ისტორიის დოქტორი, მხატვარ-არქიტექტორი;

დავით მაისურაძე — რედაქტორი, საერთაშორისო ურთიერთობათა დოქტორი.

წიგნის განხილვას ესწრებოდნენ მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, მასმედიის წარმომადგენლები.

ღონისძიება გაიხსნა დოკუმენტური ფილმით, სადაც წარმოდგენილი იქნა ბათუმის საინიციატივო ჯგუფის მიერ ნიაზ ბოლქვაძის იდეითა და ხელმძღვანელობით გადარჩენილი უძველესი კოლხური რკინის სადნობი სახელოსნოები მდინარეების: ჭოროხის, ჩაქვისწყლის და ჩოლოქის ხეობებში. დოკუმენტური ფილმი გადაიღო სტუდია „გუთანმა“ რეჟისორ ლექსო გელაშვილის ხელმძღვანელობით. წიგნის განხილვამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში და აქტიურად ჩაერთვნენ მის განხილვაში.



დასასრულს, დამსწრე საზოგადოებამ დასკვნის სახით ერთსულოვნად აღნიშნა შემდეგი, რაც ასევე ხელმოწერებით იქნა დადასტურებული:

ავტორის, ნიაზ ბოლქვაძის მიერ წამოდგენილი იქნა საკმარისი ყველა წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულება იმისთვის, რომ საქართველო იუნესკოში წარდგენილი იქნას რკინის წარმოების ისტორიულ სამშობლოდ.

საერთაშორისო საზოგადოების წინაშე საქართველოს წარმოჩენა რკინის წარმოების სამშობლოდ იყო დიდი ქართველი მეცნიერების ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო ბერძენიშვილის ოცნება, რასაც დღეს ხორცი ესხმება. ეს არის ქართველი ერის წინაპართა ღვაწლის დაფასება საკაცობრიო ცივილიზაციის განვითარების საქმეში, ქრისტეშობამდე საქართველოს ისტორიის, კოლხური ცივილიზაციის ისტორიის გადარჩენა, რომელიც ავტორის მიერ ასე ბრწყინვალედ და დამაჯერებლად იქნა წარმოდგენილი.

აქვე აუცილებლად მიგვაჩნია, მხარი დავუჭიროთ ნიაზ ბოლქვაძის იდეას ჩაქვის ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოს ტერიტორიაზე მუზეუმი-ნაკრძალის მშენებლობის შესახებ, რომელიც იქნება საბაზო, სადაც ასევე წარმოდგენილი იქნება უძველესი კოლხური მეტალურგიის სხვა კერები, ანუ კოლხური მეტალურგიის მთელი სისტემა, რაც ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ საქართველო რკინის წარმოების ისტორიული სამშობლოა.

ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია, ნებისმიერ ფასად შევინარჩუნოთ უძველესი რკინის სადნობი სახელოსნოები. რადგან პროექტი არის სახალხო, ხორციელდება საერთო თანადგომის საფუძველზე, აქედან გამომდინარე, იგი ხელისუფლებისა და ქართული საზოგადოების ერთობლივი ზრუნვის საგანი უნდა გახდეს.

დამსწრე საზოგადოებამ წარმატებები უსურვა და მადლობა გადაუხადა წიგნის ავტორს, ბატონ ნიაზ ბოლქვაძეს, ასევე ბათუმის საინიციატივო ჯგუფს „წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად“ ქართულ და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის საქმეში გაწეული ღვაწლისთვის.

გადაწყდა: შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი, რომელიც საქართველოს კულტურის სამინისტროს თაოსნობით იზრუნებს, მოამზადოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია საქართველოს იუნესკოს წინაშე წარსადგენად, როგორც რკინის წარმოების ისტორიული სამშობლოსი.

პროექტი ხორციელდება საერთო თანადგომის საფუძველზე. ამ მიზნით შეიქმნა საქველმოქმედო ფონდი „წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად“.

საბანკო რეკვიზიტებია:
საქართველოს ბანკი,
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის
N GE51BG0000000161499266
მიმღები: ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად“.

„ქილერა“ №2

გვიშველეთ – პატიმარი მიშა ჩვენ, „სვაბოდაზე“ მყოფებს, სისხლის სამართლის კოდექსის, კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო ნორმატივების შეჭმას გვაიძულებს!

ალექსანდრე მუხაძემ, მეტსახელად „ქილერამ“, რომელიც სააკაშვილმა ჯალათობაში და ადამიანების წამებაში ახალი ნოვატორული „ტექნოლოგიების“ დანერგვისთვის ღირსების ორდენით დააჯილდოვა, პატიმარი აიძულა საკუთარი ჩვენება შეეჭამა.

იგივე მეთოდს ახლა სააკაშვილიც იყენებს და მთელ ქვეყანას აიძულებს, შეჭამოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულების ამსახველი ტომეულები, შეჭამოს სისხლის სამართლის კოდექსი, სხვა სამართლებრივი ნორმატივები და ზედ დააყოლოს საქართველოს კონსტიტუციაც, თავისი ძველი თუ ახალი რედაქციით.

იმ საწყალ პატიმარს რა უნდა ექნა — პატიმარი იყო და რასაც ჯალათი „ქილერა“ უბრძანებდა, უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ჩვენ რა გვჭირს, ჩვენც პატიმრები ხომ არ ვართ, სააკაშვილის მიერ დაძალებულ ამ „კერძს“ გაუპრო-



ტესტებლად რომ მივირთმევთ და ნება-ნება ვჭამთ კონსტიტუციის თავებს თუ ქვეთავებს, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებსა თუ ქვემუხლებს.

სააკაშვილი მისთვის გამოტანილი ექვსწლიანი პატიმრობის საბრალდებო განაჩენის შეჭმასაც გვაიძულებს და თავს უდანაშაულოდ და უკანონო პატიმრად აცხადებს.

უცნაური ამ ვითარებაში ის არის, რომ, თუ „ქილერა“ მუხაძე პატიმარს აჭმევდა თაბახის ფურცლებს, დღეს ყველაფერი პირიქითაა — პატიმარი სააკაშვილი ჩვენ, „სვაბოდაზე“ მყოფებს, ქაღალდის დასტებს ბღუჯა-ბღუჯა გვტენის პირში, ჩვენ კიდევ ვერ ვუძალიანდებით და ვჭამთ, ვიცოხნებით მორჩილად.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რძის პროდუქტებთან ერთად ტრაილერით რომ შემოიპარა ქვეყანაში და რომ დაიჭირეს.

რას ჰქვია, დამიჭირეთო და შიმშილობა გამოაცხადა.

როგორც გაირკვა, არ შიმშილობდა, მაგრამ, რადგან გამოაცხადა, ვშიმშილობო, უნდა დაგვეჯერებინა, ისე, როგორც უნდა დაგვეჯერებინა, რომ აღმაშენებელია, კავკასიის ლინკოლნია, დემოკრატიის შუქურაა, ქართული სახელმწიფოებრიობის დამფუძნებელია.

მუხაძესავით, სააკაშვილსაც ჰყავს თავისი პერსონალური მეგის ქარდავები — მელიები, გვარამიები, დეკანოიძეები, ბარამიძეები, მინაშვილები, ხოშტარიები, სხვები და სხვები.

ახლა ამ კოლექტიურმა ქარდავებმა ატეხეს წივილ-კივილი: — ბელადი შიმშილობს, ბელადი კვდება, ბელადი უკანასკნელ წუთებს ითვლის, ბელადი ვერ გადარჩება, თუ მრავალპროფილურ კლინიკაში არ გადაიყვანეთ სასწრაფოდო.

კი, ვკვდებიო, — დაადასტურა ბელადმაც და ჩვენც „ვჭამეთ“ — გლდანის სამკურნალო დაწესებულება ლამის ხუთვარსკვლავიან სასტუმროდ გადავაკეთეთ, უახლესი ტექნოლოგიის სამედიცინო აპარატურა შევზიდეთ, მაღალკვალიფიციური ექიმების ბრიგადა შევკრიბეთ და გადაყვანა რომ დავუპირეთ, გადაირია — სად მიგყავართ, რომ მიგყავართ? გლდანში რა მინდა? არ გადმოვალ მანქანიდან, თქვე მკვლელებო, თქვე პუტინის მონებოო.

„სიკვდილის პირას მისულ“, „მომაკვდავ“, „დაუძლურებულ“ სააკაშვილს ისეთი ჯანი აღმოაჩნდა, ათმა კაცმა ძლივს გადმოაბრძანა რეანომობილიდან.

მერე, როგორც ამბობენ, წელს ზემოთ შიშველიც ვნახეთ — ნაშიმშილევისა არაფერი ეტყობოდა — ტახივით იყო!

ახლა საავადმყოფოში ააფხარკალა ფეხები — მართლა ვიშიმშილებ და შიმშილით მოვიკლავ თავს, თუ აქედან არ წამიყვანთო.

გარეთ კოლექტიური ქარდავები ითვლიდნენ „შიმშილობის“ დღეებს — 45, 46, 47, 48, 49, 50-იო.

ისინი ითვლიდნენ და ჩვენს ვიმეორებდით — 45, 46, 47, 48, 49, 50-ი, თუმცა დანამშვილებით ვიცოდით, ამ 50 დღიდან ერთად რომ შეგეკრიბა, ჰა და ჰა, შიმშილობის ხუთი დღე თუ გამოუვიდოდა.

მერე გვარამიამ ურჩია: წაიქეცი, ვითომ გული წაგივიდა, ვითომ ცუდად გახდიო და ესეც წაიქცა.

წაქცევაში ისე მაგრად იყო ნავარჯიშევი, კარგად გამოუვიდა.

— წაიქცაო? არიქა, არ დავიღუპოთ, რაიმე არ მოუვიდეს, სასწრაფოდ გორის ჰოსპიტალში გადავიყვანოთო.

დავფაცურდით და საპატიო ესკორტით გორში გადავაბრძანეთ.

გადაბრძანება ეგრე არ უნდაო და ორიოდე დღეში ახლა იქ დაეწყო კონვულსიური პრანჭვები.

— მარტო მრავალპროფილური საავადმყოფო და მაღალკვალიფიციური ექიმები ვერაფერს უშველის... უნდა მივცეთ საშუალება, თავის ნებაზე იმკურნალოს, სადაც უნდა, ბადრაგის გარეშე. გადავუვადოთ პატიმრობა, თუ გვინდა, მორჩესო, — შემოგვაპარა მისმა პირადმა ექიმმა ნიკა ყიფშიძემ და იქვე დააყოლა — ფსიქიატრი და ფსიქოლოგი სჭირდება მაგასო.

მთლად პირდაპირ ვერ გვითხრა: გიჟია ეგ კაცი და გიჟი მიუშვით ნებასაო, თუმცა მინიშნებით კი მიგვანიშნა ბატონმა ნიკამ, რაც სჭირს მის პაციენტს.

პაციენტი კი მაინც არ იშლის თავისას და დაუყოვნებლივ გათავისუფლებას და რიგგარეშე არჩევნებს ითხოვს.

პაციენტის მოთხოვნას მხარს უჭერენ მისი მხარდამჭერები და თუ მისი სურვილი არ აღსრულდება, მიტინგებით, აქციებით, ბოიკოტით, ბლოკირებით იმუქრებიან.

— სუფთა ჰაერი სჭირდება ამ ადამიანს, მზის სხივები სჭირდება, სივრცე სჭირდება, ის კი პალატაშია გამოკეტილი. ასე როგორ შეიძლებაო? — ბობოქრობენ ნაციონალები.

ისიც ბობოქრობს — წერილებს წერს და სხვადასხვა მიმართულებით აგზავნის, პოლიტიკურ განცხადებებეს აკეთებს, რევოლუციას გეგმავს, ყოველდღიურად უამრავ სტუმარს იღებს, შიგადაშიგ კი კვლავ დაჟინებით მოითხოვს, დაუყოვნებლივ გავათავისუფლოთ.

ერთი სურვილი შევუსრულეთ, მეორე შევუსრულეთ, მესამე შევუსრულეთ და მეოთხე რატომ არ უნდა შევუსრულოთ?

კი, ბატონო, გავათავისუფლოთ, მაგრამ იმ საბრალდებო განაჩენის მრავალფურცლიან ტომებს რა ვუყოთ?

რა ვუყოთ და შევჭამოთ — ერთი და ორი კაცი ამას ვერ მოერევა და ამიტომ სხვებზეც გადავანაწილოთ.

ამ საბრალდებო განაჩენებს რომ მოვრჩებით, მერე სისხლის სამართლის კოდექსს მივადგეთ, მერე კონსტიტუციას და საბოლოოდ რომ გადავჭამთ და გადავძოვთ ყველაფერს, კანონების გარეშე დარჩენილ სახელმწიფოში მიშა ავტომატურად გამოვარდება ციხიდან, რითაც ქვეყნის მთავარი პრობლემა მოიხსნება.

თავისუფლება მიშას!

ციხე — ჩვენ!

დავით ქავთარია



ლეგენდარული პოლიციელის სკანდალური საქმე

ამბავი, რომელსაც ქვემოთ მოგითხრობთ, ლეგენდარულ პოლიციელს, დავით ზეიკიძეს და მის ოჯახს ეხება. ამბავი ამ ეტაპზე ტრაგიკულია, მაგრამ გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს, მისი გამოსწორება შეიძლება.

სოფელ მუხრანში 1945 წელს დაბადებული გენერალ-მაიორი, რომელიც ისევ მუხრანში ცხოვრობს, ძალიან წუხს იმაზე, რომ ამ დუნიაზე აღარც სამართალი არსებობს, აღარც სინდისი და აღარც ნამუსი. მან ცხოვრებაში ისეთი გზა გაიარა, წესით აღარაფერი უნდა უკვირდეს, მაგრამ ასე არ მოხდა – ბევრი რამ უკვირს.

მან 1979 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1975–1994 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში – იყო რიგითი, გახდა გენერალ-მაიორი. იყო მინისტრის მოადგილე, თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსი, საქართველოს მე-4 მოწვევის პარლამენტის წევრი (1995–1999წწ), მცხეთის მაჟორიტარი. ამჟამად არის ბიზნესმენი – კომპანია „ლიდერფუდის“ დამფუძნებელი.

რატომ დავინტერესდით ამ ადამიანით?

ამა წლის 14 ოქტომბერს, თბილისში, თავისუფლების მოედანზე გაიმართა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ორგანიზებული ფართომასშტაბიანი აქცია. უცებ გაჩნდა ინფორმაცია, რომ ამ აქციას შეუერთდა დავით ზეიკიძეც. ამაზე, ბუნებრივია, გვქონდა უარყოფითი, აგრესიული და (ვაღიარებთ) ცოტაოდენ არაეთიკური რეაქცია. გაგვიკვირდა – ბატონი დავითი „ნაცების“ მოწინააღმდეგედ გვეგულებოდა და მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ აქციას რომ შეუერთდა:

რა მოხდა დავით ზეიკიძის ცხოვრებაში 2012 წლის შემდეგ, როცა „ქართულ ოცნებას“ 500 ათასი ლარით დაეხმარა, რომელიც თავისი ნებით ჩაურიცხა, ოღონდ სააკაშვილის რეჟიმი გადაშენდესო?

სააკაშვილის რეჟიმი გადაშენდა – მერე? არაფერი, ზეიკიძე, რომელსაც თავის დროზე კეზერაშვილის ფინანსური პოლიცია თავს დაესხა და სრულ განადგურებას რაღაცნაირად გადაურჩა, „ქართულ ოცნებაზე“ მაინც ნაწყენია: ეს ხელისუფლება ქვეყანას ნორმალურად ვერ მართავსო. მას აქვს ამისი თქმის მიზეზი, ოღონდ ეს მიზეზი მისივე ოჯახიდან დაიწყო.

წლების წინ დაწყებული უბედურება – სახელად „სიძე“

– ბატონო დავით, გავიგე თქვენი ამბავი, წავიკითხე სასამართლო გადაწყვეტილებები, სადაც ბევრი ცდომილება და საკანონმდებლო ლაფსუსია. ფაქტობრივად, ეს ამბავი შეიძლება ფილმის სცენარადაც კი გამოდგეს.

– ყველა უბედურება დაიწყო იმით, რომ ვინმე ირაკლი დუმბაძე გახდა ჩემი სიძე. ის იყო ღარიბი, ღატაკი, უნივერსიტეტში სწავლობდა, იურიდიულზე, ბოლო კურსი მე დავამთავრებინე. სწავლის პერიოდში შეუყვარდა ჩემი შვილი. მე უარი არ მითქვამს, ახალგაზრდების საქმეში ვერ ჩავერეოდი. თვითონ ღარიბ ოჯახში ვარ გაზრდილი, არაფერი მიკვირს, ღარიბი იყო თუ ღატაკი, რა უნდა მეთქვა? მე არ ვამბობ, რომ ყველაზე კარგი ვარ, მით უფრო, პოლიციელები არ უყვართ, მაგრამ კაცური რაღაცები ნამდვილად არ მეშლება. არ ვტრაბახობ, არა მხოლოდ სისტემაში, მთავრობაშიც კი ეშინოდათ ჩემი, როცა გავივლიდი, მინისტრები კედლებზე ეკრობოდნენ, ყველა ფულს აკეთებდა და იმიტომ. მე არ ვაკეთებდი. თან ყველას პირდაპირ ვუპირისპირდებოდი. აი, რაც ეხლა ხდება, არც ეგ მსიამოვნებს, მოსამართლედ რომ დაგნიშნეს, ხელში ჩაქუჩი რომ დაგაჭერინეს, სიმართლეს კი არ უნდა ურტყა.

– მთავარ თემას, ანუ სიძეს დავუბრუნდეთ, რა ხდება მას შემდეგ, რაც თქვენი ქალიშვილი შეირთო?

– მოკლედ, მოვიდა ეს ბიჭი, ჩავაცვი, დავახურე, ვაჭამე... სანამ ქორწილი იქნებოდა, ვორონცოვზე ბინაც ვუყიდე, გავურემონტე, მშობლებთან ერთად ქოხში ცხოვრობდა, ერთი ნაქირავები ჯიხური ჰქონდათ, იმით ცხოვრობდნენ. მერე მამამისმა ბაზარში დახლი აიღო და იქ ვაჭრობდა. ვიმეორებ, მე სიღარიბე არ მიკვირს, სხვა რამე მაოცებს.

– რა გაოცებთ?

– უმადურობა... გულში ვფიქრობდი, წესიერი ბიჭია, ნარკომანი არ არი, ავაზაკი არ არი, დროთა განმავლობაში მისგან რაღაცა დადგება-მეთქი. მანამდე „კმარას“ წევრი იყო, გამოვგლიჯე იქიდანაც. ასეთ რაღაცებს ყურადღებას არ ვაქცევ, გინდა „ოცნება'' იყავი, გინდა – „ნაცი“ იყავი, გინდა – სხვა ვინმე, მთავარია, კაცობაში არ ჩაიჭრა. ერთი სიტყვით, ჩემს მომავალ სიძეს უკვე სახლიც აქვს, კარიც აქვს, ტანსაცმელიც აქვს, მანქანაც ვუყიდეთ. თვითონ და მისი ოჯახის წევრები მანქანის გარშემო დარბოდნენ, გაიხარეს. როგორც გითხარით, უნივერსიტეტიც დავამთავრებინეთ, ბაჩო ახალაია მაგისი კურსელია, აკაკი მინაშვილიც კურსელია... „ნაცმოძრაობაში“ ბევრი გულშემატკივარი ჰყავს. ახალაიამ უთხრა, ჩემთან წამოდი ციხეების უფროსადო. მე მითხრა, ასეთ რაღაცას მთავაზობენ და რა ვქნა, რას მირჩევ? ბიჭო, იცი, ციხე რა არის-მეთქი? არა, არ ვიციო. შვილო, დაგიჭერენ, წამოდი, ეგ ისეთი საქმეა, მანდ მეც კი ვერ გავძლებდი, მით უმეტეს, შენ არაფერი იცი, რანაირად უნდა გაუძლო-მეთქი? წამოვიყვანე ჩემთან და დავასაქმე რეალიზაციაში, ვაგზალზე გაჰქონდათ პროდუქტები. ერთი სხვაც მუშაობდა მასთან, პროდუქტებს ძალიან იაფად ვატანდი, რომ ფული ეშოვათ, თან 400 ხელფასსაც ვაძლევდი. დიდი ხელფასი არ იყო, მაგრამ მაშინ ძალიან მცირედაც არ ითვლებოდა. 1500–2000 ლარი რეალიზაციიდან გამოსდიოდა. ჩემ გოგოს თვეში 15000 დოლარს ვაძლევდი და როგორც შემეძლო, ვეხმარებოდი. მერე შევამჩნიე, რაღაც ქალაჩუნასავით იქცეოდა, რომ მეთქვა, „შნუროკები“ შემიკარი-მეთქი, მზად იყო. არ მინდოდა ეგეთი სიძე, მე ვაჟკაცი ხალხი მიყვარს. დავუძახე, პირდაპირ ვუთხარი, არ მომწონს, ასე რომ იქცევი, უფრო ვაჟკაცური უნდა გახდე, თან უნდა იყო წესიერი და პატიოსანი, თუ ასეთი არ იქნები, დედას გიტირებენ, გაგაუბედურებენ-მეთქი. ამასობაში ჩემმა ბიჭმა და მე მოვილაპარაკეთ, ახალი ქარხანა აგვეშენებინა, კი მეუბნებოდნენ, შეეშვი, რაც გვაქვს, ესეც მშვენივრად მუშაობსო, მაგრამ მე წინ ვიყურებოდი, საჭირო იყო თანამედროვე სტანდარტების საწარმო. შევუკვეთეთ ძვირადღირებული დანადგარები, გერმანიიდან ჩამოვიტანეთ ლიზინგით, მენდობიან. სიძეს ვუთხარი, შენ რომ შეიცვალო, სხვანაირი რომ გახდე, ახალ საწარმოში შენ იქნები დირექტორი-მეთქი. დირექტორად კი დავსვი, მაგრამ არაფერი არ იცის, დისტრიბუციაში კი იმუშავა, მაგრამ გაგებაში მაინც არ არი, ვერც ბუღალტერიაში ერკვევა, ვერც გაყიდვებში.

– ეს ხდება 2004 წელს, „ვარდების რევოლუციის“ გარიჟრაჟზე, ხომ?

– დიახ, 2004 წელია. ეს ბიჭი, სიძე, დავსვით დირექტორად, ქარხანა 100%-ით მის სახელზე გავაფორმეთ, 200 ლარი იყო საჭირო, ისიც მე მივეცი. ჩემი ბიჭიც იქ მუშაობდა, თუ რამე წარმატებაა დღემდე, მისი დამსახურებაა. მამამისსაც იქ დააწყებინა მუშაობა, დისტრიბუციას უყურებდა მთლიანად, მამამისმა, ფაქტობრივად, ხელში ჩაიგდო მთელი საქმე. მერე ქურდობაზე გამოიჭირეს. ჩემმა ბიჭმა გალანძღა, არ გრცხვენიაო? რამეს გაკლებთო? იმან იუკადრისა, დაადო თავი და წავიდა. მერე ამას, ამ სიძეს ვკითხე, რა ხდება-მეთქი? მამამისს დაუჭირა მხარი. მაშინ ვუთხარი, ასეთ სიტუაციაში ახლობლობა არ არსებობს-მეთქი. მუშაობა გავაგრძელეთ, ურთიერთობა ჩვეულებრივად წავიდა, მაგრამ ჩემი ბიჭი ვერა და ვერ შევარიგე. სულ მეუბნებოდა, ნახავ, შენ ეგ რას გიზამსო. ვეწინააღმდეგებოდი, გაჩერდი-მეთქი. თურმე სადა ხარ? ის მართალია. ამის შემდეგ დავიწყეთ ახალი საწარმოს მშენებლობა, სამმილიონნახევარი სესხი ავიღე, ტერიტორია ჩემი იყო, ყველაფერი შევიტანეთ.

– თქვენ უკვე ლაპარაკობთ „ლიდერფუდზე“.

– ჰო, „ლიდერფუდზე“. ერთ დღესაც ჩემი მეგობარი მირეკავს, დათო, თუ შეგიძლია, შემხვდი, შენთან აუცილებელი საქმე მაქვსო. შევხვდი. არ გეწყინოს, რაღაც უნდა გითხრა, „ლიდერფუდს“ ჩემი შვილის

დიდი ვალი აქვს, ხორცი შემოაქვს და ფულს არ აძლევენ, მე მგონი, გპარავენ, მიხედეო. ვაააა, იქ ჩემი სიძე და შვილი არიან, როგორ უნდა მოიპარონ-მეთქი? მე გითხარი, დანარჩენი შენ იცი, ნახეო. რას ვიფიქრებ, რომ სიძე იპარავს? თავიდან ვიეჭვიანე ბუღალტერზე, შეიძლება რაღაცას ჩალიჩობს-მეთქი. როგორ გინდა, მიხვიდე და გადაამოწმო? სიძეა, ეწყინება. მერე ასეთი რაღაცა მოვიფიქრე – ირაკლი, სანამ ცოცხალი ვარ, მინდა, შენ და ჩემმა შვილებმა ერთად მუშაობა ისწავლოთ, კოტესთანაც ითანამშრომლე-მეთქი.

– კოტე თქვენი მეორე შვილია.

– დიახ, მეორე შვილია... ვატყობ, სიძეს ეს ამბავი არ ესიამოვნა, სახე შეეცვალა. კოტეს იქ წასვლა არ უნდა, მაგრამ უარსაც ვერ მეუბნება, დავითანხმე. თან გავაფრთხილე, ყურადღებით იყავი, შეიძლება რამე პროვოკაცია მოგიწყონ და ყველაფერი შენ დაგაბრალონ, არაფერზე აყვემეთქი. მარნეულში რაღაც გაუგებრობა შექმნეს და საბოტაჟი მაინც მოაწყეს, 200 მუშა გაიყვანეს ქარხნიდან. ვურეკავ სიძეს, სად ხარ-მეთქი? სახლშიო. ქარხანა ლამის დაინგრა,

სახლში რა გინდა-მეთქი? აბა, სად წავიდეო? აქ მოდი, საქმეს მიხედე-მეთქი. კოტე ხო მანდ არი, ეგ მიხედავსო. შევაგინე, აქ მოდი, მანდ არ მომიყვანო-მეთქი. მოვიდა. დაჯექი და წესიერად იმუშავე ამათთან ერთად-მეთქი, გავაფრთხილე. ძალიან გაბრაზებული ვარ, უკვე ვიცი, რომ ფულსაც იპარავს და თან ეს 220 კაცი გაფიცა.

– ეს უკვე ის პერიოდია, როცა წილის 50% სიძეზეა გაფორმებული.

– კი, ის პერიოდია, მე გავუფორმე.

– გაუფორმეთ და ახლა საქმე მივიდა იქამდე, რომ 100%-ის წართმევას ცდილობს, თქვენ შექმენით იმპერია, მოვიდა ვიღაცა და გეუბნებათ, მე ვარ და ჩემი ნაბადიო. იცით, რა მიკვირს? ასეთმა გამოცდილმა კაცმა, პოლიციის ყოფილმა მაღალჩინოსანმა, რომელსაც ადამიანების ამოცნობა არ უნდა გიჭირდეთ, ასეთი შეცდომები რანაირად დაუშვით?

– რა ვიცი... მე რომ ალალი ვარ, სხვაც ასეთი მგონია.

– კი, ეგ გასაგებია, მაგრამ რაღაც ეჭვები ხომ თავიდანვე გქონდათ? ბოლო-ბოლო, რამე ბერკეტი მაინც დაგეტოვებინათ.

– არა, ეჭვები თავიდანვე არ მქონია. არ ვფიქრობდი, რომ ასე მოიქცეოდა, ერთი ოჯახი ვიყავით, სად უნდა წაიღოს, ისედაც ხომ ერთნი ვართ-მეთქი? თან ისეთია, თავს ისე მოგაჩვენებს, გეგონება ციდან ჩამოფრენილი ანგელოზიაო, დალაგებულად დაგელაპარაკება, არც გაბრაზდება. თუ საქმეში გამოცდი, მერე მიხვდები, როგორია. სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, ავდექი და ის 50%-იც ჩემზე გადმოვაფორმებინე.

– მაშინ პრეტენზია არ ჰქონია, ანუ ნებაყოფლობით გადმოაფორმა?

– არავითარი პრეტენზია, ნებით გადმოაფორმა. მე ეს ქონება იმიტომ დავიბრუნე, რომ სამად უნდა გამეყო სამივე შვილზე, თუ რამე გამაჩნდა, ვინ გაცალა? მან ეს იცოდა, მაგრამ მისმა ადვოკატებმა, პაატა სალიამ და სხვებმა ტვინი აურიეს, ჯერ ნახევარი წავიღოთ და შემდეგ მთელ ქონებაზე ვიდავოთო. მანამდე ბუღალტერიც გაიქცა უკრაინაში, 2 მილიონ 200 ათასი მოიპარა, დაიჭირეს, 9 წელიწადი და 6 თვე მიუსაჯეს. ჩემმა სიძემ უფრო მეტი მოიპარა.

– ბატონო დავით, თქვენი სიძე თავის თავს პარავდა თუ ოჯახს?

– იცი, როგორ იპარავდა? მოვიდოდა, მეტყოდა, ალექსანდროვიჩ, აი, საბრუნავი ფული არ გვაქვს, მაწუხებენ, რა ვქნათო? მეც ვფიქრობდი, სიმართლეს მეუბნება, შეიძლება საბრუნავი ფული მართლა აკლიათ-მეთქი და შემქონდა. მე კი ვრიცხავდი, მაგრამ ის ითვისებდა.

– თუ ესენი ერთად იყვნენ საქმეში, რატომ დაიჭირეს მხოლოდ ბუღალტერი?

– მაგასაც არ იჭერდნენ, 5 თვე გარეთ დადიოდა, საქმე ჩაწყობილი ჰქონდათ. ძლივს მივაღწიე იმას, რომ ბუღალტერს პასუხი ეგო, ამის საქმე თაროზეა შემოდებული.

– სიძის საქმე?

– დიახ, ყველაფერი დამტკიცებულია, მაგრამ თაროზე უდევს პროკურატურას და არაფერს არ აკეთებენ.

– რამდენი აქვს მითვისებული?

– 2014 წლიდან 2018 წლის მარტამდე დაფიქსირებული აქვს თითქოს 6 მილიონი მიიღო მისმა პარტნიორმა 50% წილის მფლობელმა დიმიტრი ზეიკიძემ, ხოლო თავად 11 მილიონი, ესეგი 5 მილიონით მეტი. ასევე ზედმეტად მითვისებული აქვს 10 მილიონი ლარი, რომელსაც დაარქვა ვითომ დივიდენდი სინამდვილეში ეს თანხა ზედმეტად აქვს მითვისებული. ამ 27 მილიონი ლარიდან 8 მილიონი ლარი ჩემს მიერ არის შეტანილი ქარხნის განვითარებისთვის. ეს რაც შევძელით დოკუმენტურად დაგვემტკიცებინა. სინამდვილეში ამ თანხაზე ბევრად მეტი აქვს მითვისებული. ეს საკითხი შესწავლილია საფინანსო პოლიციის მიერ და ეს მასალები პროკურატურას აქვს თაროზე შემოდებული.

– თქვენი ქალიშვილი რას ამბობს?

– იძახის, ჩემი ქმარი მართალია, ფული არ მოუპარავსო. რა არ მოუპარავს, ვაბრალებ? მე რომ შევიტანე, სად წავიდა, სადღაც ხომ უნდა იყოს? არ არის არსად, არ ჩანს, არც გატარებულია, არც გამოტარებულია. სალაროში დაფიქსირებულია, რომ მაგან გაიტანა, ახლა უარყოფს.

– გამოდის, მტკიცებულებებიც გქონიათ.

– ყველაფერია, მაგრამ რად გინდა? ამ ადამიანმა დაანგრია ურთიერთობები, აღარც შვილიშვილები, აღარც შვილი... კრებაზე რომ მიდის, ტელეფონზე პატრულის ნომერი აქვს აკრეფილი, თუ ცოტა ხმას

ავუწიე, ეგრევე რეკავს, ჩქარა, მკლავენო. პატრულიც მოდის. თავიდან უნდოდა, იქ დაცვა დაესვა, გავაგდე. ადამიანს, რომელსაც ფულის მოპარვას ვედავები, სასამართლომ უფლება მისცა, დამიჯდეს დირექტორად, ეს რანაირი სამართალია?!

●

2020 წლის სექტემბერში, ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა, არჩილ კბილაშვილმა, უკვე ადვოკატის რანგში, გამართა პრესკონფერენცია. მისი თქმით: „ირაკლი დუმბაძეს დავით ზეიკიძის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების მიტაცება უმტკიცდება“.

დავით ზეიკიძის მეორე ადვოკატმა, შოთა გენგაშვილმა, მედიას წარმოუდგინა გამოძიების ის დეტალები, რაც ირაკლი დუმბაძის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ადასტურებს.

„როდესაც დავით ზეიკიძემ „ლიდერიფუდის“ 100% წილი თავის სახელზე გადმოიფორმა და ირაკლი დუმბაძე დირექტორის თანამდებობიდან წავიდა, ზეიკიძემ საწარმოს საქმიანობის შემოწმება დაიწყო. აუდიტორული შემოწმებით დადასტურდა, რომ დუმბაძემ საერთო ჯამში მიითვისა 8 მილიონი ლარი. სხვა შემთხვევა არის ის, რომ „ლიდერფუდის“ მთავარმა ბუღალტერმა ვლადიმერ გაბრიჭიძემ, რომელიც ირაკლი დუმბაძის დანიშნული იყო, საწარმოს ანგარიშიდან პირად ანგარიშზე გადარიცხა საწარმოს კუთვნილი 2,158,682.57 ლარი. ეს გრძელდებოდა წლების განმავლობაში. გარდა ამისა, 2019 წლის ნოემბერ-დეკემბერში ერთ-ერთმა აუდიტორულმა კომპანიამ „ლიდერიფუდის“ მზა პროდუქციის საწყობში საქონლის მოძრაობა შეამოწმა – დუმბაძის დირექტორობის პერიოდში ადგილი ჰქონდა აღურიცხავი პროდუქტის გამოშვებას და რეალიზაციას, რამაც საწარმო 417,745 ლარით დააზარალა“.

●

ჩვენ ამჯერად შემოგთავაზეთ დავით ზეიკიძის საქმის პირველი ნაწილი, ყურადღება გავამახვილეთ მორალურ მხარეზე. აბა, როგორია? ადამიანმა იწვალო, ნულიდან დაიწყო, საძირკველი ჩაყარო, ააშენო, შექმნა, წარმატებას მიაღწიო, ერთ დღესაც გამოჩნდეს ვინმე (ვინც არ უნდა იყოს) და კარისკენ მიგითითოს. ზეიკიძე (დავუშვათ) რაღაცაში რომც ცდებოდეს, ან მოვლენებს თავისებურად აფასებდეს, ერთი რამ მაინც ცხადია – მაშინ, როცა ზეიკიძემ ბიზნესი დაიწყო, შეიძლება ირაკლი დუმბაძე საბავშო ბაღში იყო... საუკეთესო შემთხვევაში, საშუალო სკოლის მოსწავლე იქნებოდა.

დავით ზეიკიძე: „ამ საქმის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა, ასევე უზენაესმა, ქონება ისე ჩამომართვეს, არც სარჩელი ჩამაბარეს, არც თავის დაცვის საშუალება მომცეს. ყველაფერი ემყარება, თითქოს მე „შეპასუხება“ არ წარვადგინე დუმბაძის მიერ სასამართლოში შეტანილ სარჩელზე, რის გამოც სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ქონება ჩამომართვა“.

აი, აქ იწყება დავით ზეიკიძის საქმის მეორე ნაწილი, რომელსაც „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ. ლაფსუსები სასამართლო სისტემაში, ადამიანთა ცნობიერებასა და კანონმდებლობაში უცხო არ არის, მაგრამ წავიკითხეთ, შევისწავლეთ რა ამ საქმის მასალები, ისეთ დარღვევებს წავაწყდით, ახლა მსოფლიო იურისპრუდენციის ისტორიის ქექვა დავიწყეთ, გვაინტერესებს, მსგავსი შემთხვევები თუ ყოფილა. ამ ეტაპზე მოგახსენებთ, რომ ასეთები „შავ-ბნელი“ კომუნისტების დროსაც არ მომხდარა.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

(გაგრძელება იქნება)

„კონსერვატიული მოძრაობა“ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველოში ლიბერალური ძალების პარპაში დამთავრდეს

გვესაუბრება პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ დამფუძნებელი კოკა მორგოშია.

— ბატონო კოკა, თქვენ მწვავე რეაქცია გქონდათ წალენჯიხაში მამუკა ხაზარაძის და წალენჯიხის მერის გია ხარჩილავას სტუმრობაზე სოფელ სქურში. იქ გადაღებულმა ფოტოებმა თქვენი აღშფოთება გამოიწვია. რატომ?

— კურორტ სქურში ის ეზო და სახლი, სადაც პოზიორობდნენ ხარჩილავა და ხაზარაძე 20 წლის წინ ჩემმა ოჯახმა და ჩვენმა მეგობრებმა შევიძინეთ. ის ჩვენი საკუთრებაა. სამკურნალო წყალსაც ვასხამდით და ვყიდდით უცხოეთის ქვეყნებში.

„ნაცმოძრაობა“ რომ მოვიდა ხელისუფლებაში, არც კი გვკითხეს, ისე გახსნეს იქ პატრიოტთა ბანაკი და იმის მიუხედავად, რომ ეს ტერიტორია იურიდიულად ჩვენი იყო, ჩვენ იქ ვერ შევდიოდით.

„ნაცმოძრაობამ“ არჩევნები რომ წააგო, დააახლოებით ერთი წელი დაგვჭირდა ტერიტორიაზე შევსულიყავით და რომ შევედით, იქაურობა, მანქანა-დანადგარები, სხვა ინვენტარი გაძარცვული დაგვხვდა.

დღესდღეობით კურორტ სქურში სს „სქურის“ ტერიტორია იურიდიულად ჩემი საკუთრებაა. არავის აქვს უფლება, სხვის საკუთრებაში შევიდეს და იქ ფოტოები გადაიღოს.

— მას შემდეგ, რაც პოლიტიკური პარტიის დაფუძნების შესახებ ამცნეთ საზოგადოებას, ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანებების მხრიდან აშკარაა აგრესია და ცინიზმის ნიაღვარი წამოვიდა. დემოკრატიის პირობებში ეს რატომ მოხდა, თქვენი აზრით?

— დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაში ყველა პარტია ლიბერალური დღის წესრიგით მოქმედებს. ჩვენ ვართ კონსერვატიული ძალა და გვაქვს აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომები. ვართ რუსეთთან ღია დიალოგის მომხრე. თუ დადებითი შედეგი მივიღეთ და დიდი იმედი მაქვს, ასე იქნება, ეს ლიბერალური პარტიების დამფინანსებლების პარპაშს ყველანაირ გზას მოუჭრის და იმ პარტიების ფუნქციონირებასაც აზრი არ ექნება.

30 წელიწადია უმძიმესი ვითარებაა ქვეყანაში ოკუპირებული ტერიტორიების კუთხით, ეკონომიკის თვალსაზრისით და ა. შ. ჩვენ უნდა ვცადოთ ის გზა, რომ განახლდეს და თავიდან ჩამოყალიბდეს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან, რომ ქართველმა გლეხმა, საშუალო ფენის მოქალაქემ, ან ბიზნესმენმა ბევრად უკეთეს პირობებში შეძლოს საქმიანობა, თანმიმდევრულად გადაწყდეს ქვეყნის დეოკუპაციის პრობლემაც, რაც გულისხმობს, ცხადია, აფხაზ და ოს ძმებთან საუბარს, აუცილებლად რუსეთის ჩართულობით.

— თქვენ თქვით, რომ რუსეთთან დიალოგი არის დეოკუპაციისკენ გადადგმული ნაბიჯი, ანუ თუ რუსეთს დაველაპარაკებით, „შევურიგდებით“, ისიც შეგვირიგდება და ტერიტორიებს დაგვიბრუნებს?

— არა. თუ რუსეთს დაველაპარაკებით, გავიგებთ, რა სურთ.

შორს ვარ იმ ილუზიისგან, რომ რუსები დიალოგის შემდეგ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოს ტერიტორიებიდან სამხედრო ბაზებს გაიყვანენ, მაგრამ თუ ბაზები დარჩება და ტერიტორიები საქართველოს დაუბრუნდება, ეს საუკეთესო გამოსავალი იქნება.

როცა ამბობენ: გავიდეს რუსული ბაზები საქართველოდან! ვთქვათ, გავიდნენ — აფხაზეთი და სამაჩაბლო ავტომატურად გვიბრუნდება? ცხადია, არა.

— რას ფიქრობთ, რა არის ის, მარტივად რომ ვთქვათ, კოდური სიტყვები, რითაც რუსეთთან დიალოგი უნდა დავიწყოთ?

— რუსეთისთვის საქართველოსთან ურთიერთობის დალაგება სტრატეგიულად მნიშვნელოვანია კავკასიის რეგიონში. ჩვენთან დიალოგით მათთვის იხსნება ნატოს საფრთხე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთის სახელმწიფოსთვის.

— თუკი დაიწყება მოძრაობა ამ მიმართულებით, თქვენი აზრით, რა დროში შეიძლება შედეგებს მივაღწიოთ?

— თუ დიალოგი შედგა და მან ინტენსიური ხასიათი მიიღო, ეს შეიძლება მოხდეს ძალიან მალე.

— კონსტიტუციაში ნატოსკენ ინტეგრაცია მთავარ პრიორიტეტად გვაქვს აღნიშნული.

— ახლანდელი კონსტიტუცია არ გამოხატავს ქართველი ხალხის აბსოლუტურ ნებას. სამწუხაროა, რომ კანონმდებლობა, ამ შემთხვევაში, ხალხის ნების წინააღმდეგია. კანონმდებლობა უნდა შეიცვალოს. თუ ხელისუფლება არ შეცვლის, ხალხი შეცვლის ხელისუფლებას.

— ვინ არის ეს ხალხი? ის 27%, ხომ არა, სააკაშვილს და ე.წ. ოპოზიციას არჩევნებში ხმას რომ აძლევს? ისინი, ნებსით თუ უნებლიეთ, პროდასავლურ ორიენტაციას უჭერენ მხარს.

— მოსახლეობის 50%-ზე მეტი არჩევნებში საერთოდ არ იღებს მონაწილეობას. ისინი არც „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერები არიან და არც „ქართული ოცნების“. აქედან გამომდინარე, ოპოზიციის მხარდამჭერთა რაოდენობით მასშტაბები ცოტა გადაჭარბებულად მეჩვენება. თუ ჩატარდება რეალური არჩევნები, იმ სახლში დარჩენილი 50%-ის ხმები ჩვენს სასარგებლოდ წამოვა.

ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაციაში, დაახლოებით, მილიონამდე ქართველი ცხოვრობს, რომელთა გზავნილებითაც არსებობს ასევე, მილიონობით ქართველი, მათ აქვთ უფლება, ამ ქვეყნის არჩევნებში ხმა მისცენ.

ჩვენ ვიმუშავებთ, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს, საერთოდ ჩემი საკუთრებაა. ეს

— როგორც ვიცით, სოროსის ფონდი არასამთავრობო და მსგავს ორგანიზაციებს აფინანსებს და არა პოლიტიკურ პარტიებს. თქვენი განცხადება სკანდალურია, ბატონო კოკა.

— არავითარი სკანდალი. არასამთავრობო ორგანიზაციები და მედიასაშუალებები, რომლებიც ფინანსდებიან სოროსის ფონდისგან და სხვა ფონდებიდან, გახლავთ ჩვეულებრივი პარტიული განაყოფები და ახმოვანებენ „ნაცმოძრაობის“ პროპაგანდას.

სოროსის ფონდის და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების თანხები მიმართული არის პოლიტიკის ფორმირებისკენ და ხმარდება პოლიტიკას.

ამ ჯგუფების მიზანია ეკლესიის, მართლმადიდებლობის, ტრადიციების რღვევა და ჩვენი იდენტობის წინააღმდეგ ბრძოლა.

— თქვენ, ასე ვთქვათ, ანტაგონისტურად ხართ განწყობილი, ზოგადად, ლიბერალური ტრენდის მიმართ. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ეს დღევანდელ რეალობაში დონ კიხოტობას ჰგავს?

— არანაირად არ მეჩვენება. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ლიბერალიზმს საქართველოში საბოლოოდ დავასრულებთ. ამის დასტური იყო 5 ივლისი, როცა მთელმა მსოფლიომ ნახა, რომ საქართველო ვერ შეეგუება ლიბერალურ დემოკრატიას. აქ არასდროს გაიმართება ლგბტ პრაიდები, შიშველი ქალებისა და კაცების ხეტიალი და კაცების კოცნა შუა რუსთაველზე.

ამიტომაც ახსენებენ ხშირად 5 ივლისს. იმ დღეს საქართველომ დაანახა მსოფლიოს, რომ ამ სასაძაგლეში ჩადებული მილიარდები წყალს არის გაყოლებული.

ჩვენი გამარჯვება არის უპირობო და გარდაუვალი. ჩვენ ვართ ის ხალხი, რომლებიც მალულად და მაგიდის ქვეშიდან არ დაველაპარაკებით რუსეთს. ჩვენ ვართ პატრიოტები, პროქართული ძალა და რუსებთან, ევროპასთან, ამერიკასთანაც და ყველასთან ვისაუბრებთ ღიად და ყოველგვარი წინაპირობების გარეშე.

— ბატონო კოკა, თქვენამდე არაერთმა პოლიტიკოსმა სცადა რუსეთთან დიალოგი — ნინო ბურჯანაძემ, კახა კუკავამ, „პატრიოტთა ალიანსმა“, სხვებმაც. რითი იქნებით თქვენ გამორჩეული ამ ინიციატივაში?

— არც „პატრიოტთა ალიანსს“, არც ნინო ბურჯანაძეს, არც სხვებს, ასეთი მკვეთრი განცხადებები არ გაუკეთებიათ. ისინი რას ითხოვდნენ რუსეთში, რას აკეთებდნენ, როგორ საუბრობდნენ, ამაზე მე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ რუსეთის გავლენიან წრეებში ჩვენს მიმართ არსებობს უდიდესი სიმპათიები, იმაზე მეტი, ვიდრე მოველოდით და ჩვენ ამას გამოვიყენებთ ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ.

ამჟამად, პარტიის გენერალური მდივანი გიორგი ქარდავა მოსკოვში იმყოფება.

მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწემ, ბატონმა სურკოვმა თანამდებობა დატოვა, ჩვენი ქვეყნის მიმართ მიდგომები შეიცვალა. გიორგი წასულია იმ მიზნით, რომ ჩვენს ძირითად ვიზიტამდე მოამზადოს სიტუაცია და უახლოეს ხანებში, როგორც კი პარტია რეგისტრაციას გაივლის, მოსკოვს ვეწვევით, ქართველი ხალხის ლეგიტიმაციით. რა კომპრომისებზე მოუწევს წასვლა რუსეთის ფედერაციას და თავად ჩვენც, ეს ამ დიალოგში გამოჩნდება, მაგრამ თუ ურთიერთობას არ დავიწყებთ, თავისთავად ცხადია, ვერ გავიგებთ, საბოლოოდ, რა შედეგები გვექნება ამ ურთიერთობებში.

— ანუ, რა გამოდის, 30 წელიწადია ვიფართხალეთ, ბოლოს მაინც რუსეთის კართან მივედით და უარვყავით დასავლური ვექტორები?

— ამდენი ხნის განმავლობაში ჩვენი პოლიტიკური ქმედებები რომ ფუჭი იყო და დააზიანა ჩვენი გეოპოლიტიკური მიმართულებები, ეს თვალნათელია.

თქვენ დასავლური ვექტორები ახსენეთ, რისკენაც მიილტვოდნენ ვითომ ჩვენი პოლიტიკოსები, ეს არ არის დასავლური ორბიტა. დასავლეთი არ არის ლგბტ პრაიდი, არც ამერიკაა მაკკეინი და სხვები. ამ სახელწიფოებში და ქვეყნებში დღემდე არის ის ღირებულებები, რომლებსაც ჩვენ პატივს ვცემთ.

ევროპამ საქართველო უნდა მიიღოს ისეთი, როგორიც არის — ტრადიციებით, მართლმადიდებლობით, კულტურით, პატივი უნდა გვცეს ჩვენ და ჩვენც ანალოგიურად ვუპასუხებთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

დამყარდება თუ არა მსოფლიოში ახალი ტიპის დემოკრატია?

„მაქვს ინფორმაცია, რომ უკრაინაში 1-ელ დეკემბერს იგეგმება სახელმწიფო გადატრიალება!“ — განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმერ ზელენსკიმ. საგანგებო ბრიფინგი მან გასულ კვირას, პარასკევს გამართა, სადაც მხოლოდ მისთვის სასურველი და ერთგული ჟურნალისტები მიიწვიეს. ტელეარხები, სადაც მოქმედ პრეზიდენტს აკრიტიკებდნენ, ხელისუფლების ძალისხმევით დაიხურა. სახელმწიფო გადატრიალების ინიციატორად ზელენსკიმ ბიზნესმენი რენატ ახმეტოვი დაასახელა. მისი განცხადებით, აქვთ დამამტკიცებელი საბუთები სატელეფონო საუბრების აუდიოჩანაწერების სახით. პრეზიდენტი გადატრიალების მხარდაჭერაში რუსეთის ხელისუფლებას ადანაშაულებს. მან დაასახელა

თანხის რაოდენობაც, რაც გადატრიალებაში უნდა დაიხარჯოს — ერთი მილიარდი დოლარი! ზელენსკიმ რენატ ახმეტოვს მოუწოდა: „...ვიდრე მოქმედებას დაიწყებ, ჯერ კარგად დაფიქრდი... მოდი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში და მოგასმენინებ იმ ჩანაწერებს, რაც ჩვენ გვაქვს“. ჟარგონულად რომ ვთქვათ, ზელენსკიმ ახმეტოვს „სტრელკა“ დაუნიშნა ისეთ ადგილზე, სადაც უპირატესობა თავად ენება. ცოცხალი თუ გადარჩა, ახმეტოვს პატიმრობა გარანტირებული აქვს.

ზელენსკიმ ბრიფინგზე, ფაქტობრივად, გალანძღა ჟურნალისტი დიმიტრი გორდონი, რომელიც თბილისში შლეგ სააკაშვილთან ციხეში შესახვედრად ჩამოვიდა, მაგრამ ჩვენმა მესაზღვრეებმა ქვეყანაში შემოსვლის უფლება სამართლიანად არ მისცეს. გორდონი ზელენსკის ერთგულ, მხურვალე მხარდამჭერად მოიაზრებოდა. თავის გადაცემებში გორდონი ცდილობდა, გაემართლებინა გაპრეზიდენტებულის, „ერისკაცობაში“ კომიკოსის, ნებისმიერი გადაწყვეტილება. რა გახდა მათ შორის დაპირისპირების მიზეზი, უცნობია. ბრიფინგის შემდეგ გორდონმა ზელენსკის მისამართით სატელევიზიო გადაცემაში პირდაპირ განაცხადა: „...დღეის შემდეგ ჩემთვის იგი მოკვდა, აღარ არსებობს“. უკრაინაშიც გაოცებულები არიან, რომ პრეზიდენტობის ორწლიან პერიოდში ზელენსკიმ მის მიმართ ლოიალურად განწყობილი პრესაც აიმხედრა. ისე, ყველაფერს მოხერხება სჭირდება.

მოხდება თუ არა დაანონსებული სახელმწიფო გადატრიალება, დღეს-ხვალ გამოჩნდება. უკრაინელი პოლიტოლოგის, მიხეილ პოგრებენსკის განცხადებით: „... ზელენსკის ბრიფინგი სამარცხვინო იყო, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ. მან უამრავი შეცდომა დაუშვა, რაც მის უცხოელ მხარდამჭერებს დააფიქრებს. ზელენსკი პოროშენკოზე უარესი აღმოჩნდა, საგრძნობლად გადაასწრო კიდეც გაუწონასწორებელი განცხადებების გაკეთებაში. პოროშენკოს მოქმედების წინასწარ პროგნოზირება კიდევ შეიძლებოდა, ამან სულ გაუბერა“. თავად ზელენსკის განცხადებით, მიუღებელია ხალხის არჩეული პრეზიდენტისთვის ომის გამოცხადება. „...მე იანუკოვიჩი არ ვარ და არსად გაქცევას არ ვაპირებ“, — თქვა ბრიფინგზე ზელენსკიმ.

ბიზნესმენი რენატ ახმეტოვი ერთ-ერთი უმდიდრესი და გავლენიანი ადამიანია უკრაინაში. თუმცა პოლიტიკურ საქმეებში ნაკლებად ერევა. ყოველ შემთხვევაში, გარედან ასე ჩანს, რადგან ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს. მის ქონებაზე ამჯერად არ ღირს საუბარი, მაგრამ სათქმელია — მას თავისი გემებით შეაქვს უკრაინაში ქვანახშირი, სხვაგვარად ენერგეტიკული კოლაფსი დაისადგურებდა. მით უფრო, დღევანდელ პირობებში, როდესაც ბელორუსმა უკრაინას ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა. ახმეტოვმა ზელენსკის ბრალდებას სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობის თაობაზე სისულელე უწოდა და კატეგორიულად უარყო. პოგრებენსკის თქმით: „...ზელენსკიმ ახმეტოვს, ფაქტობრივად, ომი გამოუცხადა, მაგრამ ვერ მოერევა და თავადვე დამარცხდება“. თითქმის იგივეს ამბობს ისრაელელი სამხედრო ექსპერტი და პოლიტოლოგი იაკობ კედმი: „...ბევრი ჩემი ნაცნობი დაუპირისპირდა ახმეტოვს, მოინდომეს მისთვის საქმეების გარჩევა, მაგრამ სად არიან ახლა? ამჯერად ზელენსკი დაუპირისპირდა და მოუგებს? უბრალოდ, სასაცილოა! დაანონსებული სახელმწიფო გადატრიალება მითია, ზელენსკის სურს, მოსახლეობის ყურადღება სხვაგან გადაიტანოს, რადგან უკრაინაში ენერგეტიკული და ეკონომიკური კრიზისია“.

უკრაინაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქვეყანაში, 1-ლი დეკემბრიდან, შესაძლოა, სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდეს. გამოცემა „ნიუ-იორკ თაიმსის“ ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯო ბაიდენი თითქმის ყოველდღე ურეკავს რუს კოლეგას ვლადიმირ პუტინს თხოვნით, არ შეიჭრას სამხედრო ძალებით უკრაინაში. გაზეთი იქვე იუწყება, რომ ბაიდენი ასევე ამზადებს ახალი სანქციების პროექტს რუსეთის წინააღმდეგ. ამასთან, გამოცემა აღნიშნავს, რომ პუტინი სულ სხვა საქმეებით არის დაკავებული და უკრაინის შინაური პოლიტიკური პროცესები ნაკლებად აინტერესებს. გამოცემა „გარდიანის“ პოლიტიკური ანალიზის მიხედვით, აუცილებელია ბაიდენ-პუტინის პირისპირ შეხვედრა, რათა სამყარომ თავიდან აიცილოს ფართომასშტაბიანი ომი, რომელშიც გამარჯვებული არ იქნება.

საინტერესო განცხადებები გაკეთდა გასულ კვირას, როგორც უკრაინელების, ასევე ჩვენს საყურადღებოდ. კითხვაზე, დაეხმარებიან თუ არა სამხედრო ძალებით უკრაინას რუსეთის აგრესიის შემთხვევაში, აშშ-ის კანონმდებელთა ნაწილმა ასე უპასუხა: „...უკრაინა ევროპის უკანა ეზოა და არა აშშ-სი. ეს ქვეყანა მათი პრობლემაა, ევროპელებმა უნდა იზრუნონ ამ ქვეყნის უსაფრთხოებაზე. ამასთან, უკრაინა არც ნატოს წევრი ქვეყანაა და აშშ-ის ჯარები იქ არ ჩავლენ საომრად“.

ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის თქმით: „... უკრაინა ნატოს მოკავშირე ქვეყანაა და არა წევრი. ჩვენ მათ ვეხმარებით მატერიალურად, ჯარის გაწვრთნა-მომზადებაში, სამხედრო ტექნიკით. თუმცა რაიმე აგრესიის შემთხვევაში მე-5 მუხლი არ ამოქმედდება“. შეგახსენებთ, მე-5 მუხლის მიხედვით, ნატოს წევრ რომელიმე ქვეყანაზე თავდასხმის შემთხვევაში, ალიანსის ყველა ქვეყანა ჩაერთვება საბრძოლო მოქმედებებში. ვფიქრობთ, დასკვნების გამოტანა რთული არ არის — სხვის, თუნდაც უახლოესი მოკავშირის, იმედად ყოფნა ხეირს არავის დააყრის.

კვლავ რთული ვითარებაა ბელორუს-პოლონეთის საზღვარზე. მართალია, ბელორუსები ეხმარებიან მიგრანტებს, მაგრამ ისინი მაინც მძიმე პირობებში იმყოფებიან. მიგრანტები პატარ-პატარა ჯგუფებით ცდილობენ გერმანიაში შეღწევას პოლონეთის გავლით. ბელორუსის მხარემ ანგარში დააბინავა ხალხი, რათა გარეთ, სიცივეში არ გაიყინონ, მაგრამ მიგრანტთა ნაწილი კვლავ უშუალოდ საზღვართან რჩება. მართალია, პოლონელები გადაჭარბებულ ძალას აღარ იყენებენ და არც საზღვარს არღვევენ, მაგრამ მიგრანტებს კორიდორზე უარს ეუბნებიან.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, გასულ კვირას ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო შვილთან ერთად ჩავიდა საზღვარზე მიგრანტებთან შესახვედრად და ვითარების გასაცნობად. მან ტრადიციულად გააკრიტიკა ევროკავშირი და ევროპის ქვეყნები: „...დაპირების მიუხედავად, ევროკავშირს ერთი ცენტიც არ გადმოურიცხავს. ჩვენ არ გვჭირდება მათი თანხა, ჩვენ მათ გარეშეც ვეხმარებით მიგრანტებს. ჯობს, წითელ ჯვარს ჩაურიცხონ ფული, რათა ეფექტურად დაეხმარონ მათ“. ბელორუსისა და ერაყის ავიაკომპანიებმა უკვე განახორციელეს რამდენიმე რეისი და 1000-მდე ადამიანი დააბრუნეს სამშობლოში. თუმცა არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც წასასვლელი აღარსად აქვთ — ზოგს გაუნადგურდა საცხოვრებელი, ზოგმა ევროპაში წასასვლელი თანხის მოსაგროვებლად გაყიდა.

მიუხედავად ბელორუსის მხარის დახმარებისა, მიგრანტებს შორის არიან დაღუპულები, მათ შორის, ბავშვები და ქალები. უმეტესობა გადაციების/ჰიპოთერმიის გამო. რამდენიმე ათეული ადამიანი საავადმყოფოში გადასაყვანი შეიქნა. მიგრანტებს არ ყოგნით საკვები. სავარაუდოდ, ბელორუსში 2–3 ათასი მიგრანტია დარჩენილი, ძირითადად, ერაყელები და ქურთები. როგორც იუწყებიან, გაგრძელდება მსურველების სამშობლოში უფასოდ დაბრუნების პროცესი. გავრცელებული ინფორმაციით, ბელორუსმა მიგრანტების დასახმარებლად უკვე 12 მილიონო დოლარი დახარჯა.

მიგრანტები გახდნენ საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის ახალი უთანხმოების მიზეზი. გასულ კვირას მიგრანტები ლა მანშის სრუტით ცდილობდნენ ბრიტანეთში შეღწევას. თუმცა რეზინის მოტორიანი ნავი ჩაიძირა და 27 ადამიანი დაიღუპა. ბრიტანელები მომხდარში ფრანგებს ადანაშაულებენ — პოლიციამ არ შეუშალა ხელიო. პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონის თქმით, ბრიტანეთი ყოველწლიურად 54 მილიონ გირვანქა-სტერლინგს ურიცხავს საფრანგეთს მიგრანტების შესაკავებლად, მაგრამ უშედეგოდ.

სულ ცოტა დრო რჩება დემოკრატიის ფორუმის დაწყებამდე, რომელიც ჯო ბაიდენის ინიციატივით იმართება. საინტერესოა, რომ რუსეთისა და ჩინეთის გარდა, ფორუმზე არ მიუწვევიათ თურქეთი, უნგრეთი და აზერბაიჯანი. სამაგიეროდ, მიწვეულია ტაივანი (?), რომელიც ჯო ბაიდენმა ჩინეთის მმართველთან სი ძინპინთან ვიდეოშეხვედრისას მათ (ჩინეთის) ტერიტორიად აღიარა. გასულ კვირას ბაიდენის თანაშემწემ უსაფრთხოების საკითხებში ჯეკ სალივანმა და ევროჩინოვნიკმა ჟოზეპ ბარელიმ უცნაური განცხადებები გააკეთეს. სალივანის თქმით: „... მსოფლიოს პოლიტიკური მოწყობა აშშ-ის კარნახით, სცენარით უნდა მოხდეს. ამას უნდა მივაღწიოთ“. ჟოზეპ ბარელი უფრო შორს წავიდა: „ჩვენ (აშშ და ევროკავშირი) სამყაროს ბატონ-პატრონები ვართ და ის ჩვენი კარნახით უნდა მოვაწყოთ“.

როგორც ჩანს, მსოფლიოში ახალი ტიპის დემოკრატია მყარდება.

საინტერესოა, ვისთვის იქნება მისაღები მსგავსი „დემოკრატია“?

გია ბურდული
551 71 27 07

რატომ ვერ აღკვეთა ედუარდ შევარდნაძემ სახელმწიფო გადატრიალება, სახელად „ვარდების რევოლუცია“?

უდავო ჭეშმარიტებაა — თუ არ ვიცით წარსული, ვერ გავიგებთ, რას გვთავაზობს აწმყო და, სავარაუდოდ, რას გვიმზადებს მომავალი.

მიმაჩნია, რომ დამოუკიდებლობის წლები საქართველოს ისტორიაში ახლადფეხადგმული ჩვილის ჯუნგლებში ყოფნას ჰგავს და თუ რა ამბები და რატომ გადახდა ამ „ჩვილს“, ამის გაანალიზება აუცილებელიცაა და საჭიროც.

2003 წლის რევლუციურმა ტრიუმვირატმა საბედისწეროდ დაასრულა პოლიტიკური კარიერა.

ზურაბ ჟვანია გარდაიცვალა.

მიხეილ სააკაშვილს კი, როგორც მე-16 საუკუნის რუსეთის თვითმარქვია მეფე ცრუ დიმიტრის, სანამ ზარბაზნის ლულაში არ ჩატენიან და არ გაისვრიან, ისე ხომ ხედავთ, არ ჩერდება.

სამყარო თუ არ შეიშალა, ის აუცილებლად მოითხოვს ახალ დე გოლს, ჩერჩილს, სოსო ჯუღაშვილს...

სააკაშვილისნაირი იაფფასიანი პოლიტიკური შულერები, როგორც ასეთ შემთხვევებში იტყვიან, ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდებიან.

მიშა სრული პოლიტიკური ბანკროტია ისევე, როგორც „წიოწია“ ნინა — ნინო ბურჯანაძე, რომლის პოლიტიკური რეიტინგი იმდენად დაბალია, რომ მას ამწეკრანიც ვერ წამოსწევს.

„თეთრმა მელამ“ ედო ბაბუმ — შევარდნაძემ, პოლიტიკური წონადობით აჯობა თავის უბეში გამოზრდილ ქვეწარმავლებს... როგორც ამბობენ, შევარდნაძე ბუნებით იყო გაიძვერა „მელა“ და ნამდვილად პოლიტიკისთვის დაბადებული ადამიანი.

ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, აქვე გეტყვით, ამ წერილის ინსპირაცია ერთმა ვიდეოსიუჟეტმა განაპირობა.

ნახეთ, რას ჰყვება ედუარდ შევარდნაძის პრესსპიკერი და ჟურნალისტი **დავით გამცემლიძე** 2003 წლის ნოემბრის დღეებში განვითარებულ მოვლენებზე, ედუარდ შევარდნაძეზე, „ვარდების რევოლუციის“ სამეულზე და მათ გარემოცვაზე.

„18 ნოემბერს, რევოლუციამდე ოთხი დღით ადრე ედუარდ შევარდნაძემ დამიბარა და მითხრა, რომ მოსამზადებელი იყო მისი სიტყვა პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გამოსვლისთვის.

საუბრის დროს მითხრა, რომ დაუკავშირდნენ ზურაბ ჟვანია და ნინო ბურჯანაძე.

არ დაუკონკრეტებია, რა ფორმით დაუკავშირდნენ — უშუალოდ თუ შუამავლის საშუალებით.

მე მგონია, რომ ეს მოხდა შუამავლის საშუალებით და ეს შუამავალი გახლდათ ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი ელჩი რიჩარდ მაილსი და შესთავაზეს გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან.

ეს გამოსავალი იყო შემდეგი.

ისინი მივიდოდნენ სახელმწიფო კანცელარიაში აშშ-ის ელჩ რიჩარდ მაილსთან ერთად. ჩატარდებოდა ერთობლივი კონფერენცია და იქ ედუარდ შევარდნაძე განაცხადებდა, რომ საპარლამენტო არჩევნები საქართველოში ჩაიშალა, არ შედგა და რამდენიმე თვის შემდეგ უნდა გაიმართოს ახალი საპარლამენტო არჩევნები.

ბუნებრივია, იგულისხმებოდა, რომ ედუარდ შევარდნაძე ინარჩუნებდა საპრეზიდენტო პოსტს 2005 წლამდე.

შეგახსენებთ: ამ დროს მიხეილ სააკაშვილი უკვე სამეგრელოშია და აპირებს იქ ააგოროს ის ზვავი, რომელიც საბოლოოდ წალეკავს ხელისუფლებას, მაგრამ თავად სააკაშვილი არ იყო უკომპრომისოდ განწყობილი. მასაც ჰქონდა კომპრომისული პროექტი, ოღონდ ეს პროექტი განსხვავდებოდა ბურჯანაძე-ჟვანიას პროექტისგან.

მიხეილ სააკაშვილი, როგორც ბატონმა ედუარდმა მითხრა, მოითხოვდა, რომ არჩევნების შედეგები სრულად კი არ გაუქმებულიყო, არამედ გაუქმებულიყო შედეგები რამდენიმე საკვანძო რეგიონში. მათ შორის, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის უმრავლესობაში, ქვემო ქართლში, აჭარაში და, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გავიდოდა პირველ ადგილზე.

ამ პირობით, სააკაშვილიც თანახმა იყო, რომ შევარდნაძეს პრეზიდენტის პოსტი 2005 წლამდე შენარჩუნებინა.

მე ვერ ვიტყვი, რომ ედუარდ შევარდნაძე აღფრთოვანებული იყო შემოთავაზებული პროექტებით, მაგრამ ის მზად იყო, ეფიქრა ამ თემაზე, ოღონდ დიალოგი ამ საკითხზე არ გაგრძელდა და შემიძლია სრული დარწმუნებით ვთქვა, რომ მთავარი მიზეზი, რის გამოც არ გაგრძელდა დიალოგი, იყო სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“. მისი იმდროინდელი მესვეურების, უფრო სწორად, მესვეურის და ჟურნალისტური კოლექტივის აბსოლუტურად შეურიგებელი პოზიცია.

მათ აგრძნობინეს ახალგაზრდა პოლიტიკოსებს, რომ თუ ისინი ნებისმიერ კომპრომისზე წავიდოდნენ ედუარდ შევარდნაძესთან, ეს იქნებოდა მათი პოლიტიკური კარიერის დასასრული.

კომპრომისების ძიების მთავარი ინიციატორი იყო ზურაბ ჟვანია.

ახალს არ ვიტყვი თუ აღვნიშნავ, რომ ზურაბ ჟვანია იყო ძალიან ჭკვიანი და გონიერი პოლიტიკოსი. მე წლების განმავლობაში ვიმუშავე მასთან და თავისუფლად შემიძლია ამის თქმა.

ის იყო პასუხისმგებლიანი პოლიტიკოსი და ხედავდა საფრთხეს, რომელიც რეალურად არსებობდა.

საფრთხე კი იყო რეალური.

იმ დღეებში ისმოდა და დღემდე მოისმენთ საოცარ მოსაზრებას: ვინ იყო მსროლელი?!

რატომღაც ყველას დაავიწყდა, რომ რამდენიმე ასეული, კბილებამდე შეიარაღებული სპეცდანელი (სპეციალური დანიშნულების დანაყოფი — რედ.), რომელიც ასლან აბაშიძემ გამოაგზავნა თბილისში, ისინი იყვნენ ასლან აბაშიძის ფანატიკურად ერთგულები, სამხედრო თვალსაზრისით ბრწყინვალედ მომზადებულები. ისინი იმყოფებოდნენ პარლამენტის შენობაში და პარლამენტის შენობის მე-3 სართულზე, სწორედ იმ მომენტში, როდესაც იქ რევოლუციონერები შეიჭრნენ ვარდებით ხელში და ჯავშანჟილეტებით ტანსაცმლის ქვეშ, ერთი გასროლა იქნებოდა საკმარისი, შედეგი იქნებოდა იგივე, მაგრამ ფორმა იქნებოდა განსხვავებული და ამ ფორმას, თუ როგორ მოხდებოდა ეს ყოველივე იმ ქვეყანაში, რომელსაც ჰქონდა სამოქალაქო სისხლისღვრის გამოცდილება, ჰქონდა საბედისწერო მნიშვნელობა საქართველოსთვის.

სექტემბერში ბატონმა ედუარდმა მაჩვენა პრეზიდენტ ბუშის წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ შევარდნაძეს ჰქონდა დიდი დამსახურება დემოკრატიული თანამეგობრობის წინაშე, მათ შორის, საქართველოში დემოკრატიული რეფორმების გატარების თვალსაზრისით, მაგრამ, წერილში ნათქვამი იყო ისიც, რომ მოვიდა დრო, გზა დაეთმოს ახალი გენერაციის პოლიტიკოსებსო.

ბუნებრივია, ეს წერილი იყო თბილისიდან „ნამუშევარი“, რადგან არ მგონია, რომ ბუშ-უმცროსს ჰქონოდა მკაფიო წარმოდგენა, რომელ ნახევარსფეროზე მდებარეობდა საქართველო. ან მის თანაშემწეებს სცოდნოდათ რაიმე საქართველოს შესახებ, მაგრამ მე შევატყობინე, რომ ბატონი ედუარდი იყო საშინლად გაღიზიანებული ამ წერილით და მან ისიც კი მითხრა, რომ ახლა დავიბარებ ამერიკის ელჩს და ვეტყვი, რომ მირჩევნია გადავდგე, ვიდრე შევასრულო ასეთი შეურაცხმყოფელი მითითებაო.

დიპლომატიური ეთიკის თვალსაზრისით, მართლაც უცნაური ფორმულირებები იყო ამ წერილში.

ედუარდ შევარდნაძისთვის საკითხის ასე დასმა მიუღებელი იყო...

მას არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, რომ ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები არიან ესენი. „ჭკვიანი ბოვშვები“ არიანო, არაოფიციალურ საუბრებში, გურულად ამბობდა ხოლმე, მაგრამ ესენი არ იცნობენ ქართველებს, არ იცნობენ საქართველოს, ზერელედ უყურებენ თანდაყოლილ პრობლემებს, როგორც შევარდნაძე ამბობდა, რომელიც აქვს საქართველოს და დაღუპავენ ამ ქვეყანასო, ამბობდა ხოლმე.

განსაკუთრებით მიუღებელი იყო მისთვის მიხეილ სააკაშვილი და არგუმენტი ჰქონდა.

მე თავს ვერ დავდებ, რამდენად გულწრფელი იყო ის, მხოლოდ ვიტყვი, რასაც ამბობდა: ეს ბიჭი მოახდენს ომს.

არც ერთხელ არ უთქვამს, დაიწყებს ომს, ყოველთვის ამბობდა: მოახდენს ომს!

სემანტიკური თვალსაზრისით, რა შინაარსსაც დებდა ამ სიტყვებში შევარდნაძე, ეს არ არის ერთი და იგივე.

როგორი იყო ედუარდ შევარდნაძის განწყობა რევოლუციის დღეებში?

მე გულწრფელად გეტყვით: მთელი 7 წლის განმავლობაში, რაც მე ვიმუშავე ბატონ ედუარდთან და საკმაოდ ახლო ურთიერთობა მქონდა, მხოლოდ ერთხელ ვნახე იგი „გატეხილი“.

ეს იყო 1998 წლის მაისში გალში მომხდარი მოვლენების დროს.

მოგეხსენებათ, რომ 1998 წლის მაისში აფხაზმა სეპარატისტებმა სამურზაყანოში ეთნოწმენდა მოაწყვეს. გამოყარეს გალის რაიონიდან ისედაც გაუბედურებული ქართველები, გადაწვეს სოფლები.

იმ დილით, 24 მაისი იყო, ზუსტად მახსოვს, იმიტომ რომ, ჩვენ უნდა მოგვემზადებინა ბატონი ედუარდის გამოსვლის ტექსტი საზეიმო გამოსვლაზე დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით.

ყველა ღონისძიება გაუქმდა. მათ შორის, სამხედრო აღლუმიც.

სწორედ ამ მოვლენების გამო იმ დილით, 24 მაისს, როცა მე შევხვდი ბატონ ედუარდს, ის იყო სწორედ რომ „გატეხილი“.

არასდროს მანამდე ასეთი არ მინახავს. სხვათა შორის, არც თებერვლის ტერაქტის შემდეგ და არც მერე არასდროს ის მე ასეთ მდგომარეობაში არ მინახავს.

რაც შეეხება რევოლუციის დღე-

შევარდნაძე და მაილსი

სააკაშვილი და ივანოვი

ებს. გარწმუნებთ, რომ არავითარი შეშფოთება, ან მღელვარება, მით უმეტეს, შევარდნაძე და შიში აბსოლუტურად შეუთავსებელი იყო.

ბუნებრივია, ის არაერთგვაროვანი და ისტორიული ფიგურაა და რა ღირსებებიც გააჩნდა ამ ადამიანს, ნუ დავუკარგავთ. არ იქნება ეს სინდისიერი საქციელი, ზოგადად, საზოგადოების მხრიდან.

ხშირად სვამენ კითხვას: რატომ ვერ შეძლო შევარდნაძემ ამ მოვლენების თავიდან აცილება.

ჩენი აზრით, როცა ისტორიულ პროცესებთან გვაქვს საქმე, საკითხის ასე დასმა არარელევანტურია, მაგრამ თუ მაინც ვიტყვით, მე ვფიქრობ, რომ ერთ-ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ, რა თქმა უნდა, 2002–03 წლებში ედუარდ შევარდნაძე უკვე აღარ იყო ის ძველი ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც ჰქონდა უნარი, ჩანასახშივე შეემჩნია, რამდენად საშიში იყო მისთვის პროცესები და მიეღო ზომები. მე მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტან და ჩემი აზრით, ძალზე ნიშანდობლივ მაგალითს: აბსოლუტურად ნათელი იყო, რომ იმ საბედისწერო არჩევნების მთავარი საკითხი იქნებოდა საარჩევნო სიები.

ცხადია, რომ დამატებითი სიების გაუქმება მოხდა მიზანმიმართულად. ეს იყო წინასწარგაწზრახული გადაწყვეტილება, ანუ საარჩევნო სიებს ენიჭებოდა საბედისწერო მნიშვნელობა.

ისტორიული ანეკდოტია, საოცრებაა, რომ საარჩევნო სიების შედგენა აღმოჩნდა იმ გუნდის ხელში, რომელიც ყველაზე მეტად იყო დაინტერესებული, რომ ქვეყანაში მომხდარიყო რევოლუცია და ყველაზე მეტად იყო დაინტერესებული არსებულიყო კომპრომატები ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, ეს მეტყველებს იმაზე, რომ იმ დროს უკვე ედუარდ შევარდნაძე ვეღარ აკონტროლებდა სიტუაციას.

მას შემდეგ, რაც ყველაფერი დამთავრდა, ორივე მხარემ განაცხადა, რომ არაფერი არ იცოდნენ ივანოვის ვიზიტის შესახებ. ეს განცხადება გააკეთა ედუარდ შევარდნაძემ, ზურაბ ჟვანიამაც.

მე დავუკავშირდი ჩემს კოლეგებს მოსკოვში, ჟურნალისტებს, კვალიფიციურ ჟურნალისტებს, ყველაზე რესპექტაბელური გამოცემების წარმომადგენლებს, მაგალითად, როგორიც არის გაზეთი „კომერსანტი“, რადიო „თავისუფლების“ მოსკოვის ბიურო. მათ ხელი მიუწვდებოდათ პირველწყაროებზე, როგორც პრეზიდენტ პუტინის ადმინისტრაციაში, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროში და ყველამ ერთხმად დამიდასტურა, რომ არავითარი მოწვევა იგორ ივანოვს არც ოფიციალურად და არც არაოფიციალურად, არც ერთი და არც მეორე მხრიდან არ ჰქონია. უფრო მეტიც, თბილისში გამოფრენის მომენტამდე, საქართველოში საერთოდ არავინ არ იცოდა, რომ იგორ ივანოვი თბილისში მოემგზავრებოდა.

დააკვირდით ერთ ძალიან საინტერესო ნიუანსს.

აეროპორტიდან იგორ ივანოვი გაემგზავრა არა კრწანისის რეზიდენციაში, არამედ პირდაპირ მიტინგზე, რომელიც იმ მომენტში გადაეცემოდა სნნ-ის პირდაპირ ეთერში. რა თქმა უნდა, მოვლენათა განვითარებას მოსკოვში ყურადღებით აკვირდებოდნენ და მათ შენიშნეს, რომ სნნ-ზე ასეთი ხანგრძლივი პირდაპირი ჩართვები რომელიმე მოვლენაზე არასდროს ყოფილა.

რუსებმა შენიშნეს, რომ ეს ჩართვები მიანიშნებდა, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენები იყო რაღაც დიდი პროექტის ნაწილი და ივანოვის ჩამოსვლით და მისი გამოსვლით მოვლენათა ეპიცენტრიდან რუსეთს სურდა, დასავლთისთვის გაეგზავნა მკაფიო შეტყობინება: ის, რაც აქ ხდება, ხდება ჩვენი გავლენის სფეროში და ხდება ჩვენი გეოპოლიტიკური არეალის შემადგენელ ნაწილში — საქართველოში და თქვენ არ უნდა სცადოთ, რომ ჩაერიოთ საკუთარი ინტერესებისთვის ამ მოვლენებში. ამ მცდელობიდან არაფერი გამოვიდა. მოსკოვი დამარცხდა, მაგრამ ამ დამარცხებისთვის ის მომდევნო წლებში ძალიან მწარედ იძიებს შურს, როგორც საქართველოზე, ასევე ამერიკაზეც.

2003 წლის დასაწყისში ედუარდ შევარდნაძემ მითხრა, რომ ის სერიოზულად ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო მოვლენები 2005 წლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც ამოიწურებოდა მისი მეორე საპრეზიდენტო ვადა და კარგად მახსოვს, მან თქვა: ჩემთვის მიუღებელია, მემუარები ვწერო და არანაირი როლი არ შევასრულო ქვეყნის განვითარებაშიო.

ასეთი დამოკიდებულება იმ პოლიტიკოსის მხრიდან, რომელიც მცირე წყვეტით 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქვეყანას და მიაჩნდა, რომ თანამედროვე საქართველო იყო მისი შექმნილი, ასეთი დამოკიდებულება გასაკვირი არ არის.

და მან მითხრა, რომ ჰქონდა კონკრეტული გეგმა, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო მოვლენები. იგი აპირებდა ეს გეგმა შეეთავაზებინა ნინო ბურჯანაძისთვის.

ეს ის დროა, როცა ზურაბ ჟვანია და მისი გუნდი აღარ არიან მოქალაქეთა კავშირში, თუმცა ჯერ საბოლოოდ არ გაფორმებულა ალიანსი ზურაბ ჟვანიასა და ნინო ბურჯანაძეს შორის. ედუარდ შევარდნაძესაც ჯერ არ შეუქმნია თავისი საარჩევნო ბლოკი „ახალი საქართველოსთვის“...

მოკლედ, ქალბატონი ნინოსთვის შევარდნაძე აპირებდა შეეთავაზებინა ასეთი პროექტი: ედუარდ შევარდნაძის საპარლამენტო წარმომადგენლობა — დეპუტატთა კორპუსი, მათ შორის მაჟორიტარებიც, გადავიდოდნენ ნინო ბურჯანაძის გამგებლობაში.

მისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, ზურაბ ჟვანია იქნებოდა თუ არა ამ გეგმის ნაწილი.

ეს ძალა მთლიანობაში ნინო ბურჯანაძის ლიდერობით და პრეზიდენტ შევარდნაძის მხარდაჭერით იმარჯვებდა 2 ნოემბრის არჩევნებში. შემდეგ შევარდნაძის მხარდაჭერით, ნინო ბურჯანაძე ხდებოდა საქართველოს პრეზიდენტი, ოღონდ ერთი პირობით: შეიქმნებოდა სათათბირო ორგანო ფართო უფლებამოსილებით, შესაძლოა, ეს მომზდარიყო ორპალატიანი პარლამენტის შექმნის კონტექსტში, არა პრეზიდენტის ბრძანებულებით, არამედ საკანონმდებლო გზით, შესაძლოა, საკონსტიტუციო ცვლილებებით.

სათათბიროს წევრები იქნებოდნენ ავტორიტეტული მოღვაწეები და ეს უნდა მომზდარიყო საპრეზიდენტო არჩევნებამდე და სათათბირო ორგანოს თავმჯდომარე იქნებოდა ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

მე არ ვიცი, შედგა თუ არა კომუნიკაცია ედუარდ შევარდნაძესა და ნინო ბურჯანაძეს შორის ამ თემაზე, ან ესაუბრა თუ არა ამ საკითხზე ბატონი ედუარდი თავისი ახალგაზრდობის მეგობარ ანზორ ბურჯანაძეს, რომლის იმედი ნამდვილად ჰქონდა, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა: მეორე მხრიდან ამ წინადადებაზე, რა თქმა უნდა, იქნებოდა და იყო უარყოფითი, კატეგორიულად.

ქალბატონ ნინოს ჰქონდა სრულფასოვანი პრეზიდენტობის ამბიცია. მას უაღრესად სერიოზული და გავლენიანი ძალები უჭერდნენ მხარს. თანაც ეს გეგმა იყო აბსოლუტურად არარეალური. ამას არ დაუშვებდა მიხეილ სააკაშვილი. ამას არ დაუშვებდა ის ახალგაზრდული ელიტა, რომელიც შედგებოდა ეროსი კიწმარიშვილისა და „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებისგან. ამას არ დაუშვებდა დასავლეთი, მაგრამ თავად ეს რეფლექცია, ასეთი პროექტის არსებობა, იმაზე მეტყველებს, რომ ედუარდ შევარდნაძე იმ დროს ცდილობდა, მოეძებნა ეფექტური სვლები, მაგრამ შექმნილი იყო საჭადრაკო ცუგვანგის მდგომარეობა, სადაც არათუ კარგი სვლების შესაძლებლობა არ არსებობს, სვლები არ არსებობს, საერთოდ.

საინტერესოა, ასევე, რატომ არ დაიწყო პარლამენტის სხდომა დილის 10 ან 9 საათზე, სანამ შეიკრიბებოდა ეს გრანდიოზული მიტინგი. მაგრამ რატომ შეიკრიბა პარლამენტი მაშინ, როცა უკვე ყველაფერი დულდა ქუჩაში და მზადყოფნა იყო იმის, რაც მოხდა?!

ამას ჰქონდა კონკრეტული მიზეზი.

ედუარდ შევარდნაძეს ჰყავდა თავისი კანდიდატურა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე და ეს იყო ვაჟა ლორთქიფანიძე.

ვაჟა ლორთქიფანიძე კატეგორიულად მიუღებელი იყო ასლან აბაშიძისთვის. ასლან აბაშიძისა და „აღორძინების“ გარეშე, ჯერ ერთი, ქვორუმი ვერ შედგებოდა, რადგან შალვა ნათელაშვილმა და ლეიბორისტებმა, ასევე „ახალმა მემარჯვენეებმა“, უარი განაცხადეს სხდომაზე დასწრებაზე.

ამას გარდა პარლამენტის თავმჯდომარის არჩევა „აღორძინების“ გარეშე წარმოუდგენელი იყო. თანაც ასლან აბაშიძე ლორთქიფანიძის წინააღმდეგი იყო. არა მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ ჰყავდათ კანდიდატურები, მაგალითად, ჯემალ გოგიტიძეზე იყო საუბარი, არამედ მისთვის მიუღებელი იყო ვაჟა ლორთქიფანიძე, საერთოდ და ჰქონდა ამას თავისი მიზეზები.

ასლან აბაძიშის გადასარწმუნებლად შევარდნაძემ ასლან აბაშიძესთან გააგზავნა ვახტანგ რჩეულიშვილი და ირინა სარიშვილი.

სანამ საბოლოო თანხმობა იქნა მიღწეული, სანამ ბათუმიდან თბილისში განხორციელდა სატელეფონო ზარები ფრაქციის ლიდერებთან, ყოველივე ამას დასჭირდა დრო.

ედუარდ შევარდნაძე ჯანსაღად აფასებდა სიტუაციას, არავის ეგონოს, რომ ის არაადეკვატურად აღიქვამდა მოვლენებს. საჭირო იყო „აღორძინების“ თანხმობა. სწორედ ამიტომ გადაიდო სხდომა, რომ ელოდებოდნენ „აღორძინების“ თანხმობა.

ამ სიტუაციაში რომ აღმოჩენილიყო ერთი თავზეხელაღებული და გაესროლა?

რატომ არ მოხდა გასროლა?

პირველ რიგში, ალბათ, არ მოხდა თანხმობა ასლან აბაშიძისგან და მეორე, ძალიან ძნელია ამდენი ტელეკამერის წინ გაისროლო და დაღვარო სისხლი, საბედნიეროდ, ერთი ტყვია არ გასროლილა.

კომპრომისული ვარიანტები, რასაც სთავაზობდნენ ედუარდ შევარდნაძეს, იყო თითქმის შეუთავსებელი.

ბურჯანაძე და ჟვანია მოითხოვდნენ საპარლამენტო არჩევნების საერთოდ გაუქმებას, მიხეილ სააკაშვილი კი მოითხოვდა, გაუქმებულიყო მხოლოდ ის ოლქები, რომლებიც არ აძლევდა საშუალებას, პირველ ადგილზე გასულიყო „ნაცმოძრაობა“, თუმცა საერთო ინტერესებმა მაინც გადასძალა, რადგან დიალოგი ვერ გაგრძელდა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ შევარდნაძე არ იყო კომპრომისისთვის განწყობილი, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ის ჯგუფი, რომელიც იყო შეკრებილი ეროსი კიწმარიშვილის გარშემო, საბედისწეროდ თვლიდა, რომ ედუარდ შევარდნაძეს პრეზიდენტობა ვერ უნდა შეენარჩუნებინა და უნდა მომზდარიყო რევოლუცია.

როგორც კი შევარდნაძემ შეატყო, რომ მიტინგი რუსთაველის გამზირიდან შეიძლებოდა დაძრულიყო კრწანისის საპერზიდენტო რეზიდენციისკენ, მან მაშინვე მიიღო გადაწყვეტილება.

მას ჰქონდა უნარი, შეემჩნია ის ზღვარი, რომლის გადალახვაც არ შეიძლებოდა.

მანამდე კიდევ იყო კომპრომისის იმედი ივანოვის შუამავლობით, მაგრამ ულტიმატუმი, რომელიც მას წაუყენეს მიტინგიდან, იყო ის ზღვარი, რომელიც მან აღარ გადალახა“.

ეს გახლავთ 2003 წლის იმ ისტორიული და საბედისწერო მოვლენების თვითმხილველის და იმ ამბების თანამონაწილის მონათხრობი, რომელიც დოკუმენტურად წარმოაჩენს „ვარდების რევოლუციის“ ერთ მონაკვეთს, საიდანაც დაიწყო სააკაშვილის მმართველობის 9-წლიანი კოშმარი საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის. ეს მონათხრობი არის იმ გზის ბილიკები, საიდანაც სააკაშვილი ქართულ ცხენში მოხვდა, ამჟამად უკვე პატიმრის სტატუსით.

ისტორია გაკვეთილებია.

ბოლო წლებში საქართველომ ბევრი მწარე გაკვეთილი გაიარა.

იმედია, განგება დაგვიცავს კიდევ ერთი მწარე გაკვეთილისგან და გვიხსნის საბედისწერო შეცდომებისგან...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ცალკალოშიანები და სიკვდილის კალო

ზურაბ ადეიშვილი

სოციალურ ქსელში, ყოფილი პატიმარი ირაკლი კენჭოშვილი წერდა „გვარამიამ მიშას სუნთქვის საშუალებას არ აძლევენ, ჟანგბადი არ მიეწოდებაო. მაშინ სად იყავით 2006 წელს, მე რომ ღრმა ნესტიან სარდაფში ერთი კვირა კარცერში ვიყავი დი ციხის რეჟიმს, სადაც არც შუქი გვქონდა, არც დაბანის საშუალება, ყინვაში, ბაღლინჯოებში და ვირთხებში, რომელიც იმდენად ღრმა იყო, რომ იქ არც მზის შუქი ჩამოდიოდა და არც ჰაერი ნიავდებოდა. ბოლოს გაზის კამერა მოგვიწყეს ამ ფაშისტებმა, კარცერში გაჩენილი ხანძრის შედეგად დამდგარ კვამლში როცა ვიგუდებოდით, ერთი საათის შემდეგ მოგვაკითხეს და მხოლოდ 30 წუთით ამოგვიყვანეს სუფთა ჰაერზე...

ჩვენ უბრალო მოკვდავებს არ

ვალერი გრიგალაშვილი

გვაქვს არაფრის უფლება, ხოლო მიშა არის არამიწიერი არსება და რაც მოეხუშტურება ყველაფერი უნდა შეუსრულონ. ოთხი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შემახვედრეს ჩემს მეუღლეს, ისიც იმიტომ, რომ პროკურატურის მოთხოვნა გადმოეცა ჩემთვის აქციების დათმობაზე, მიშას კი დღეში ხუთი მნახველი ყავს. ზის ისეთ საკანში, სადაც ჩვენ თექვსმეტი კაცი ვიჯექით. მიშა ბადრაგს წინააღმდეგობას უწევდა და ეკაჩავებოდა, მაგრამ კარცერში არავის ჩაუსვია, მე კიდევ უმიზეზოდ, ქონების დათმობის მიზნით ყინვაში განუსაზღვრელი ვადით ვირთხებით და ბაღლინჯოებით სავსე უშუქო, ნესტიან კარცერში გამომამწყვდიეს.“

ირაკლი, უკანონოდ დაპატიმრებაში და ქონების მითვისებაში ღიად ადანაშაულებს ყოფილ პროკურორებს, ვალერი გრიგალაშვილს და ბადრი ბიწაძეს. გრიგალაშვილმა მას, სოციალურ ქსელში გასცა უსუსური პასუხი და აღშფოთებულმა მიმართა მესამე, აღმშენებელ, წყაროს წყალივით სუფთა პრეზიდენტს როგორ ედრებიო.

აღსანიშნავია, რომ გრიგალაშვილის მიმართ სერიოზული პრეტენზიები ჰქონდა სულხან მოლაშვილს და შემდეგ მისი ოჯახის წევრებს. უტიფარი გრიგალაშვილი აცხადებდა, რომ მოლაშვილი ნაწამები არ იყო. სარწმუნო წყაროს ცნობით ოქროს მოყვარული, წუწკი, გრიგალაშვილის რვა თვიანი ქალაქის პროკურორობა 2004 წელს სწორედ სოლიდური თანხის გამოძალვის მიზეზით დასრულდა. თანხა, ნახევარ მილიონ დოლარს შეადგენდა, რათქმაუნდა არც ის მსჯავრდებული იყო დამნაშავე და ძველი „მტრობის“ გამო გააიმასქნა სს საქმე გრიგალაშვილმა. მაშინ, მიშამ „აპატია“ და დაჭერის ნაცვლად, გენერალურ პროკურატურაში დეპარტამენტის უფროსის პოსტზე გადაიყვანეს, მაგრამ იქაც კინაღამ შარში გაეხვია.

ვალერის მეგობარი კრიმინალური ავტორიტეტი „კალატოზა“, მისი მითითებით ვადამდე აღრე „სანიმუშო ყოფაქცევისთვის“ გაათავისუფლა კოლონიის დირექტორმა, რომელიც შემდეგ სს პასუხისგებაში მისცეს. ნუ, რათქმაუნდა ეს ყველაფერიც სოლიდური თანხა დაჯდა. გრიგალაშვილს ფული აღრეც ძლიერ ნაყვარება. ოთხმოცდაათიან წლებში, ისნის რაიონში პროკურორის თანაშემწედ მუშაობდა. სამძებროს უფროსს ვიღაც უმნიშვნელო დამნაშავე ასი დოლარის საფასურად გაუთავისუფლებია და მცირე წილი, „ოპერებისთვის“ არ გამოურთმევია. ამ ფაქტზე გრიგალაშვილი როგორც პოლიციაზე ზედამხედველი პროკურორი აღშფოთებულა, თანხა, ასი დოლარიდანაც მეკუთვნისო. აღნიშნულის გარდა უამრავი ფაქტი არსებობს მის წინააღმდეგ და სწორედ მისნაირი ცალი კალოშით ჩამოსული გლახაკი პროკურორები ძარცვავდნენ სახელმწიფოს და ხალხს. რამოდენიმე თვის წინ სოციალურ ქსელში აწ უკვე „ლელოელი“ ჭაობის ბაყაყი წერდა „ლელო საქართელოსთვის“ შეიქმნა ქვეყნის ჭაობიდან ამოსაყვანად და არსებული რეალობის შესაცვლელად. ამ მიზანს ემსახურება “ლელოს” “მარშალის გეგმაც”.


ტარიელ ონიანი

სწორედ მექრთამეების, მტაცებლების, ყველაფერზე წამსვლელების, მძიმე ბავშვობა გამოვლილი, დაკომპლექსებული პროკურორებისგან შექმნა ზურაბ ადეიშვილმა გარეწრების გუნდი, რომლებიც უმოწყალოდ ძარცვავდნენ ხალხს. საკუთარი ოჯახის და სახელმწიფოს ბიუჯეტს ასე ავსებდნენ. ადეიშვილის მოადგილე გიორგი ლაცაბიძე რომელიც გლახაკი ჩამოვიდა დედაქალაქში და მილიონერი გახდა, საპროცესო გარიგების სანაცვლოდ, უსახლკაროდ ტოვებდა ხალხს. სად მიდიოდა პროკურატურის ფონდში გადარიცხული თანხები დღესაც არ არის გამოძიებული...მექრთამე პროკურორად იცნობდნენ პროკურორ გია შარიქაძესაც. რომელიც უპირობოდ ასრულებდა ადეიშვილის უკანონო ბრძანებებს. არცერთი ნორმალური ადამიანი არ იქნებოდა „პატარა კაცის“ პროკურორი. მათ ყველას უსამართლობა აერთიანებდათ.

აი, რას იხსენებს ვალერი ხაბურზანია „2004 წლის აპრილია თუ არ ვცდები და დსთ-ს ღონისძიებაა მოსკოვში წავიდა დელეგაცია, ბარამიძე, ოქრუაშვილი, ადეიშვილი, მე და ერთი-ორი კაცი მოადგილეების რიცხვიდან, მე მაშინ ჩემდა ჭირად დათანხმებული გენპროკურორის მოადგილე ვარ. მოსკოვში დაგვხვდნენ ჩემი მეგობარი და მისი ძმა (ქართველი ებრაელები), რომლებთანაც უკვე საკუთარი ურთიერთობა ჰქონდათ გაბმული ამ ლუმპენბნელიტას, სხვათა შორის სააკაშვილს ამ ჩემგან გაცნობილი ებრაელების მიერ ნაყიდი ზილის ბრენდის პალტო ეცვა ინაუგურაციაზე.

ჰოდა, ადეიშვილს მოჰკიდეს ხელი ამ ჩემგან გაცნობილმა ებრაელებმა და წაიყვანეს ჩასაცმელ-დასახურად, რამდენიმე საათში მობრუნდნენ **ЦУМ**-დან და “პატრიკ ჰელმანი”-დან და საღამოს ღამის კლუბში ისევ ზრდილობიანად რომ ვთქვათ, დაბალი სოციალური პასუხისმგებლობის ქალებთან წაიყვანეს და იქაც, როგორც ქალებმა აღნიშნეს, ძალიან ასკეტური იყო. ეს ასკეტიზმი კი გარეგნული სატყუარაა და ყველამ იცის, რომ ადეიშვილი ყველაზე დიდ თანხებს აკონტროლებდა და სააკაშვილის გარემოცვაში მის გარდა ცალ-ცალ კალოშიანებიდან აღზევებული 4–5 მილიარდერი თუ არა ასობით მილიონის მქონე ნამდვილად მოითვლება”. ადეიშვილი მრავალმხრივ „ნიჭიერი“ ადამიანი გამოდგა – გარდა იმისა, რომ კარგი იურისტია, ფულზე დაგეშილს კარგი ყნოსვა აქვს, სააკაშვილმა იგი კარგ მშენებლადაც გამოაცხადა.

ამბობენ, ადეიშვილს ბავშვობიდან აქვს დაზიანებული ფსიქიკა. ისე, როგორც – სააკაშვილს, წარსულში მასაც აქვს სერიოზული ფსიქოლოგიური ტრამვა მიღებული, ცნობილი ფაქტია, რატომ გამოაგდეს ახალგაზრდა ადეიშვილი კახეთის მშობლიური სოფლიდან. ეს იყო ადამიანი, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც კი „პატარა კაცს“ ეძახდნენ რომელსაც, თავისი მიზნის მისაღწევად ბელადთან მონური ერთგულება აკავშირებდა, იგი ზუსტად ისე ექცეოდა თავის ღირსება აყრილ ქვეშემრდომებს, როგორც მას მიშა ექცეოდა, ანუ – აგინებდა, პანჩურს ურტყამდა...

ადეიშვილის მკაცრი კონტროლით ხდებოდა ბიზნესის რეკეტი. ის იყო არის პროკურატურაც, სასამართლოც, ქურდიც, მაფიაც და გაბატონებული ელიტაც! ყველაფერ ამას, „ადეიშვილი“ ერქვა. სიღნაღი გალამაზდა, მაგრამ სინამდვილეში, ისტორიული ქალაქი გაანადგურეს და ათასობით ადამიანს, ქონება წაართვეს. სააკაშვილის ამ პროექტის განმახორციელებელი გახლავთ ადეიშვილი!

ერთი მხრივ, ზურა ბავშვობაში დაჩაგრული იყო, მაგრამ მეორე მხრივ – იყო ნიჭიერი. ავტორიტარულ რეჟიმში ეს არის კლასიკური კომბინაცია, რომელიც ბადებს მონსტრებს. ნაცების ზეობის ხანაში, კახეთის ბატონ პარტონები ადეიშვილის მამა და ძმა გახდნენ. კახეთში ყველაფერი ადეიშვილის სახელს უკავშირდებოდა. ეროსი კინწმარიშვილი ინტერვიუში ამბობდა „ადეიშვილი ბერიას კაბინეტში იჯდა...

მაშინ მისი ნათქვამი ხუმრობაში გავატარეთ. უშიშროების შენობაში ლავრენტი ბერიას ერთ-ერთი ბოლო კაბინეტია, თავისი ისტორიული ავეჯით, მაგიდაზე ბერიას დროინდელი საწერი მოწყობილობით. ზურაბ ადეიშვილი მე ამ კაბინეტში მყავს ნანახი, მაშინ მან მითხრა, რომ საღამოობით იქ ბერიას აჩრდილი დადიოდა.“ ცნობილია, რომ სააკაშვილი პანჩურს ურტყამდა ადეიშვილს, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ – ქვეშევრდომებს... „მაქსიმალური დამცირების მომენტები იყო. პარლამენტში ვინც მუშაობდა, იმათ ეს იციან. მე ეს ყველაფერი მომიყვნენ, მაგრამ მე ვნახე, როგორ ექცეოდა ადეიშვილი თავის თანამშრომლებს. იყო შეურაცხყოფა, პანჩური... მე ადეიშვილთან ურთიერთობა რევოლუციამდეც მქონდა და მას შემდეგაც. შემდეგ, წავედი და უკან დაბრუნებულმა უკვე სხვა ადეიშვილი ვნახე, თავისი ძალაუფლების ტკბობის ხანაში. მე ვიცი, როგორ სახლში ცხოვრობდა და როგორი ჩვეულებრივი ყოფითი პრობლემები ჰქონდა.“ წერდა ეროსი რომლის ინტერესებს, ერთ დროს ის ზურაბ ადეიშვილი იცავდა, რომელსაც იმ პერიოდში ისე უჭირდა, ორმოცდაათ თეთრს ვაძლევდით კომპანიის დოკუმენტაცია რომ წაეღო და დაექსეროქსებინაო.

ეროსი კინწმარიშვილი

არსებობს ინფორმაცია, რომ ადეიშვილს ალიკანტეში ორი ვილა აქვს, ერთ-ერთი აჩუქა კანონიერმა ქურდმა, ტარიელ ონიანმა, იმის სანაცვლოდ, რომ ადეიშვილის მონდომებით, ონიანი რუსეთიდან ესპანეთში იქნა ექსტრადირებული. ეს არის ჩვეულებრივი კორუფციული გარიგების შედეგი. ესეც, კალაშოვის ექსტრადიციის მოთხოვნის ანალოგიური საქმეა. რად უნდა ხელისუფლებას საქართველოში კალაშოვი? აქ არის ორი მომენტი – ფული და ანგარიშსწორება, გუდაურთან დაკავშირებული ცნობილი ისტორიის გამო. თუმცა, ტარიელ ონიანის შემთხვევა სხვაა. ონიანი სააკაშვილთანაა დაკავშირებული, იგი 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებს აფინანსებდა, 2003 წლის მოვლენებში გადაიხადა ფული, ამას ემატება ისიც, რომ ონიანი არის სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას მეგობარი. სააკაშვილმა ონიანი საქართველოში არ ჩამოუშვა, მაგრამ დაიცვა სხვა ქვეყნებში. ადეიშვილი ამ შემთხვევაში ასრულებდა სააკაშვილის დავალებას და მისთვის მიშას რომ დაევალებინა ონიანის საქართველოში ჩამოყვანა, დავალებას ასეთივე წარმატებით შეასრულებდა.

მარიამ ჯანჯღავა
511 17 73 72

მიხა და ეკა

პოლიტიკური ნოველა

კარზე რაღაცნაირი კაკუნი გაისმა, თან გაბედული, თან გაუბედავი.

– თუ პუტინის მონა ხარ, არ შემოხვიდე! – ბრძანა თავისებური ორიგინალური ხმით მიხეილმა და კარს გამჭოლი მზერა ესროლა.

– ეკა ვარ ხერხეულიძე, ბატონო პრეზიდენტო, მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციებით გეახელით – მიუგო ქალის ხმამ კარს იქიდან.

– შემოდი, რაღას უცდი? როცა საქმე მამულს ეხება, შეგიძლია, არც კი დააკაკუნო, მით უფრო, ხერხეულიძეებს არ გჭირდებათ ასეთი მორიდებულობა. წუხელ სამი არაგველი მესტუმრა, სამასივენი ვერ ჩამოვედით, უმეტესობას კოვიდი შეგვეყარა, გულით და სულით შენთან ვართ, როგორც კი გამოვჯანმრთელდებით, ეგრევე გამოვალთ აქციებზეო.

– დიახ, ჩემი ცხრა ძმაც მზადაა, ბატონო მთავარსარდალო, – თქვა თვალებგაბრწინებულმა ეკამ და კარი ქუსლით მიხურა.

– მოიწი აქეთ, აგერ ჩამოჯექ, მომახსენე, რას ჰფიქრობს ხალხი, – აღმართა მარჯვენა ხელი ვახტანგ გორგასალივით სარდალმა.

– მუხლებზე ჩამოგიჯდეთ, თქვენი მუხლების ჭირიმე? – წაეტანა ფეხებზე ეკა.

– არა, ამ ეტაპზე არა, ჯერაც დასუსტებული ვარ ორმოცდაათდღიანი გაუსაძლისი შიმშილობისა და არაადამიანური წამების შემდეგ.

– დიახ, მესმის... თუმცა ფრიად სასურველი კი იქნებოდა თქვენს მუხლებზე მორჭმით ჩამოჯდომა, – სახე წამოუწითლდა ეკას.

– მომახსენე, რა დაგაბარეს ჩემმა საყვარელმა, ჩემმა გმირმა თანამემამულეებმა.

– ფშავნი, ხევსურნი, სვანნი, იმერნი, ამერნი, მეგრელნი, რაჭველნი, კახელნი და სუყველანნი მზად არიან, თქვენი გულისთვის თავნი გასწირონ, ჩემო პრეზიდენტო!

– რას ჰქვია, ჩემთვის? დღეს ყველამ თავი უნდა გაწიროს სამშობლოსთვის! – აჭყვიტინდა მთავარსარდალი, ზეზე წამოდგა, გულის ფიცარზე მუშტი დაიბრაგუნა.

გულის ფიცარმა რაღაცნაირი ხმა გამოსცა, თითქოს სვეტიცხოველის ზარს შემოჰკრესო ერეკლეს ხმალი. ეკამ აშკარად გაიგონა ზარის ხმა, ტანში სასიამოვნოდ გააჟრჟოლა და კიდევ ერთხელ დარწმუნდა მთავარსარდლის არაამქვეყნიურობაში.

– ბოდიში, ჩემო პრეზიდენტო, შემეშალა, ყველა მზადაა, შიშველი ხელებით შეებრძოლოს რუს ოლიგარქს და კლანჭებიდან გამოსტაცოს საკუთარი მამული, ენაც და სარწმუნოებაც!

– ეგ მომწონს, გულს სალბუნად ედება, მაგრამ მე მაინც ვერ ვხედავ გარეთ გამოსულ ფშავებს, ხევსურებს, სვანებს და თუნდაც წალენჯიხელებს, ვერ ვხედავ მეხად გავარდნილ ყიჟინას, მახვილთა ჟღარუნს!

– ნუ სწუხართ, თქვენ მალე გაიგონებთ მახვილთა ჟღარუნს, დაინახავთ რუსთაველზე დაგორებულ თავებს და გამარჯვების აღსანიშნავად განხორციელებული ფეიერვერკების ბათქსა და ბუთქსა!

– ჰოოო, მე ყოველთვის მომწონდა ბათქიც, ბუთქიც, ჭახიც და ჭუხიც, ეს იყო ჩემი ცხოვრების დედააზრი, მაგრამ ახლა პუტინის მიზანია, ბიძინა ივანიშვილის ხელით ეს ყველაფერი ჩამიკლას. ვერ ეღირსებიან ისინი ამას, თუ საჭირო იქნება, მამულს შევეწირები კიდევაც, აგერ ჩამოვაბამ „პროსტინას“ და გავუყრი თავსა შიგან! – გადავიდა ყოყოინზე მიხეილი.

– ნუ ლაპარაკობთ ასე მრისხანედ, ჩემო საფიცარო პრეზიდენტო და მთავარსარდალო, „პროსტინა“ რა საკადრისია? საქართველო ვერ გადაიტანს ამას, დავიღუპებით, ევროატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება აღარასოდეს გვეღირსება, ევროკავშირი ოცნებად გადაგვექცევა, რუსეთი წაგვლეკავს!

მე ძალიან მომეწონა თაკო ჩარკვიანის იდეა, დიახაც, უნდა გამოვიტანოთ მთელმა საქართველომ ლეიბები, დავყაროთ რუსთაველზე და გავწვეთ!

– მე სულ ვამბობდი და ახლაც ვამბობ, რომ თქვენ გენიოსი ბრძანდებით, – ჩაიდუდუნა ეკამ.

– ეგ ბავშვმაც კი იცის, ჩაატარონ გამოკითხვა დედამიწის ნებისმიერ წერტილში, მე ვარ ცოცხალი ლეგენდა, რომელიც ამჟამად მიჯაჭვულია კავკასიონის ერთ-ერთ ქედზე. ოოოს, ჭილყვავნო, რა დროს ჩამიგდეთ ხელადა? მალე დადგება გაზაფხული ჩვენს ქუჩაზე, მალე ამოჰხეთქავს გამარჯვების ყიჟინა თავისუფლების მოედანზე და იქმნება ნათელი ირგვლივ!

– დიახ, ჩემო სარდალო... მე პირადად მზად ვარ, როგორც კი აქედან გავალ, ეგრევე მოვიჭრა მარცხენა ძუძუ!

– ძუძუ?

– ჰო, მარცხენა ძუძუ, რათა გადვიკიდო მშვილდი და შხამიანი ისრები დავუშინო ოლიგარქის სასახლეს. მე ვიქნები ქართველი ამორძალი, ვინც ამას გააკეთებს, მა رااااا!

– უუუხ, შენ გენაცვალე, ცხრა ძმა და ერთი და ხერხეულიძე, ისტორია ეხლა იწერება, რაც აქამდე დაიწერა, მაკულატურაა. ვინ იყვნენ ჩემამდე გურჯები? დადიოდნენ აცა და ბაცა, ეხურათ რაღაცნაირი ქუდები და მუდამ ეწვოდათ კუდები, მწნილის ჩადებაც კი არ იცოდნენ, მე ვასწავლე. ჩიტო-გვრიტო, ჩიტო მარგალიტო دااااا... აი, რას ნიშნავს ჩიტო და გვრიტო? კაი, ჩიტო ჰო, მარგალიტო რა შუაშია? სწორედ ამაზე მინდოდა ვახტანგ გორგასალთან საუბარი, მაგრამ სად არი? მას შემდეგ, რაც „პლენად“ ჩავბარდი, არ გამოჩენილა, ისაო, წელი მტკივა, ვერ დავდივარო. ერთხელ ჩავიდა ზელენასთან უკრაინაში და მორჩა. არა, კიევში რო ჩამოდიოდა ჩემთან და ლუდსა წრუპამდა, ხო კარგი იყო?!

– სად არი გუბაზი, განა ეგ არ წრუპამდა ნუნუა ფიასა?! – დაასხა ცეცხლზე ნავთი ეკამ.

– გველკუა ვალერი, ზის აქუსთან და ბოდავს, განა გამოვა გარეთ, განა გამოქანდება, განა დაეჯახება ჰოსპიტლის კედელს, განა გამოარღვევს ყველა ზღუდეს და განა გამიყვანს აქედან? კიევში კონიაკს რო წრუპამდა, თან მეუბნებოდა, შენ ჩამო, დანარჩენი ჩემ კისერზე იყოსო, მე და აქუ ჩავუდგებით სათავეში მასობრივ გამოსვლებს, არც ჯანი გვაკლია, არც ღონე, გავკრამთ, გავიტანთ ბოლომდეო. აჰა, ჩამოველ სანზონასა შინა, ვზივარ ჰოსპიტალში, ეგ არი და გორის ციხე. ვისი იმედიც მქონდა, ყველა დაიმალა, ცოლებიც კი აღარ მოდიან, მარტო ლიზა დაიარება კიევიდან.

– ნუ მიწყენთ, ჩემო მთავარსარდალო და... ბოლო-ბოლო, რამდენი ცოლი გყავთ? – შეაპარა ეკამ და თან ენაზე იკბინა, იფიქრა, შეიძლება ბელადი აფეთქდესო.

– კარგი შეკითხვაა, დავითვალოთ, ტარანი ხო თვლით არი? ესე იგი, ელენე იყო, ხათუნა იყო, ვერა იყო, ის იყო, ეს იყო, სოფიკო იყო, მავანი იყო, ჯანდარელი მადონა იყო, ყვარლელი ჟუჟუნა იყო, ქობულეთელი ლამარა იყო, წყნეთელი მაია იყო, ავლაბრელი სუსანა იყო... თორმეტი გამოვიდა?

– დიახ, ჩემო მბრძანებელო... სანდრა დაგავიწყდათ, ლიზაც.

– ჰმ... სანდრამ ვერ გამიგო, რომ მე ყოველწლიურად ახალი შთაგონება მჭირდება!

– ეხლა უნდა წავიდე, ფშავთა, თუშთა და ხევსურთა წარმომადგენლებს უნდა შევხვდე ლოდების დაგორების თაობაზე, – შეჰბედა ეკამ მიხეილს.

– რა ლოდები, რამე გამომრჩა? – დაცქვიტა ყურები მიხეილმა.

– ისეთი არაფერი, ჯერ მოლაპარაკების პროცესი მიმდინარეობს, გვინდა, ბარისახოდან თავისუფლების მოედანზე ლოდები დავაგოროთ და ექვსივე შემოსასვლელი ჩავკეტოთ.

– გენიოსური გადაწყვეტილებაა, ეგ ვისი იდეაა?! – შემოჰკრა ტაში მიხეილმა, შემდეგ კი შეხტა და შემოტრიალდა.

– ნუგზარ წიკლაურმა, სხვა ვინ მოიფიქრებდა?

– ნუგზარი სწორუპოვარი გმირია, გადაეცი, შენი იმედი მაქვსთქო. ეგ არი ვეშაპი ზღვის გარეშე, ლომი ტყის გარეშე... ااااახხხხყყყ! – პალატაში უცნაური ხვიხვინი გაისმა, ეს იყო მიხეილის საფირმო სიცილი.

– მეც ამნაირადა ვფიქრობ, თქვენო უგმირესობავ, ეხლა კი ნება მიბოძეთ, დიდი სინანულითა და თანაგრძნობით გადავდგა ნაბიჯი გარეთ, – დახარა თავი თითქმის იატაკამდე ეკამ.

– შეჩერდი, ხერხეულიძეთა შთამომავალო! – შეჰყვირა ისევ რაღაცნაირად მიხეილმა.

– დიახ, აქა ვდგავარ და სხვანაირად არ ძალმიძს, თქვენო უსათნოესობავ.

– გავიგე, ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი ხელისუფლებასთან ხახუნის პროცესშია, – ჩაიდუდუნასავით მიხეილმა, ემანდ არავინ გვისმენდესო.

– ნუთუ?

– ამ წუთას შემატყობინეს, ნიკანორ მელია ეხახუნება ხელისუფლებასო.

– ეგ გამორიცხულია, თქვენო უხახუნოესობავ, როგორ შეიძლება, ნიკანორი ხელისუფლებას ეხახუნებოდეს?

– ჩემი წყაროები არ ცდებიან... ეხლა კი გასწი, გამშორდი, მიხედეთ საქმეს, ერთი ადგილი გაანძრიეთ, აღსდექით მტანჯველთა წინააღმდეგ!

კარი ჭრიალით მიიხურა, ეკამ ნაბიჯი დიდი სინანულით გადადგა. გარეთ უკვე ჩამობნელებულიყო, ირგვლივ ჭილყვავნი დათარეშობდნენ, ზოგი დიდი იყო, ზოგიც პატარა, მომცრო. ეკას გულმა უცებ რეჩხი უყო, დავამარცხებთ კი ამდენ ჭილყვავსო? ეეეჰოოო, ამოიგმინა და თავი სახლისკენ მიმავალ ორღობეს მისცა.

მიხეილმა ისევ დააფურთხა ფანქრის წვერზე, რამდენიმე წამით ჩაფიქრდა და წერა განაგრძო: ხალხნო და ჯამაათნო, თუ ესენი არ დამსვამენ პრეზიდენტად, საერთოდ აღარ დავლევ წამლებს. თუ სასწრაფოდ არ გამიღებენ ჰოსპიტლის კარს, რომელიც ციხე მგონია, პირში აღარაფერს ჩავიდებ ფაფების გარდა. ვბრძანებ, ხვალვე შეიქმნას ჩემი გათავისუფლების სახალხო კომიტეტი, სადაც ყოველდღე დასცხებენ დოლსა და გაწელავენ გარმონს. საღამ-საღამოობით ანგარიში ჩაჰბარდეს გიულ დედულის. ბრძანებას ხელს ვაწერ მე, ამ ქვეყნის დამფუძნებელი, განმავითარებელი, ამღორძინებელი და შამქმნელი!

ნოველა რეალურ ფაქტებზე
დაყრდნობით დაწერა
გელა ზედელაშვილმა

„ყვავებთან“ ერთად „გალიაში“ მილიარდერებიც ცვდებიან

1976 წლის 11 მარტს მილიარდერ მემკვიდრეს პატი ჰერსტს, მედიამაგნატ უილიამ ჰერსტის შვილიშვილს, შვიდი წლით პატიმრობა მიესაჯა შეიარაღებულ ძარცვაში მონაწილეობის გამო (გოგონა აშშ-ში მოქმედმა მემარცხენე რადიკალურმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ — სიმბიონისტურმა გამათავისუფლებელმა არმიამ მოიტაცა. შემდგომში ის ამ დაჯგუფების წევრი გახდა და მათი თანამონაწილე გახდა). პეტი ფერსტი მომდევნო წლის მაისში ხუთი წლის გამოსაცდელი ვადით გაათავისუფლეს.

მის გარდა კიდევ არაერთ მილიარდერს მოუწია ციხეში სასჯელის მოხდა.

პატი ჰერსტი

ალენ სტენფორდი. ტექასელმა მილიარდერმა ქონება იმით დააგროვა, რომ ფინანსური იმპერია შექმნა. 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში **Stanford International Bank**-ი ოპერაციებს აწარმოებდა, 2008 წლის კრიზისის შემდეგ კი მისი საქმით საქმიანი ქაღალდების და ბირჟების აშშ-ის კომისია დაინტერესდა.

ალენ სტენფორდი

ბანკის შტაბ-ბინა ანტიგუასა და ბარბუდაზე მდებარეობდა, რაც თავიდანვე იპყრობდა საგადასახადო სამსახურებისა და ფინანსური დანაშაულების ექსპერტების ყურადღებას. შედეგად, გაიხსნა აფერა, რომელმაც 7 მლრდ დოლარის დანაკლისი აღმოაჩინა.

ალენმა დანაშაული არ აღიარა და ამტკიცებდა, რომ მის გეგმაში ყველაფერი გაწერილი იყო და ინვესტორებს თავიანთი დივიდენდებს მიიღებდნენ. ხელისუფლებამ მისი ანგარიშები გაყინა და მილიარდერის ბანკის აქტივები ძალიან დაბალ ფასად გაყიდა.

ერთ-ერთ ინტერვიუში, რომელიც სტენფორდმა უკვე ციხეში მისცა, მან იმედი გამოთქვა, რომ პატიოსანი სახელს აღიდგენს. ყოფილი მილიარდერი დარწმუნებულია, რომ ის სამართალს მიაღწევს. თუ იმას გავითვალისწინებთ, რამდენი მიუსაჯეს ალენ სტენფორდს, ის ციხიდან მალე ვერ გამოვა. 2012 წელს ფინანსური პირამიდის შექმნის გამო სტენფორდს 110 წელი მიესაჯა.

მარტა სტიუარტი. პოპულარულმა ტელეწამყვანმა, მწერალმა და ბიზნესლედიმ სახელი საოჯახო რჩევებით გაითქვა. 80-იან წლებში მარტამ მთელი წყება სამხარეულო წიგნები გამოსცა, რომლებიც აშშ-ში ნამდვილ ბესტსელერებად იქცა. სტიუარტი დიდებით ტკბებოდა, მას ოპრა უინფრისა და ლარი კინგის გადაცემებში იწვევდნენ და, საერთოდაც, დიასახლისის ნამდვილ მაგალითად მიიჩნევდნენ.

ჰოლდინგი მალევე გახდა წარმატებული, რაც სატელევიზიო შოუს მაღალი რეიტინგების, წიგნებისა და საკუთარი კულინარიული ჟურნალის პოპულარობის შედეგი იყო და კომპანიის აქციები უკვე ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე გაჩნდა. სწორედ ამის წყალობით გახდა მარტა მილიარდერი.

ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი სკანდალი 2000-იანი წლების დასაწყისში მოხდა. მარტას ძალიან აინტერესებდა ფინანსები და ინვესტიციები, რაც სულაც არ იყო გასაკვირი. 2001 წლის დასასრულს ქალს ბიოფარმაცევტული კომპანიის **ImClone**-ს მფლობელმა აცნობა, რომ კიბოს საწინააღმდეგო წამლის ჩაშვება, რაზეც დიდ იმედებს ამყარებდა, ჩაიშალა.

როცა სტიუარტმა გაიგო, რომ კომპანია მალე გაკოტრდებოდა, დაიწყო აქციების კრიზისამდელი პერიოდის ფასებში გაყიდვა და 45 000 დოლარი იშოვა. მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ქალმა წინასწარ იცოდა ინსაიდური (დაფარული) ინფორმაციის შესახებ, მას 5 თვით პატიმრობა მიუსაჯეს.

2005 წელს, ციხიდან გამოსვლის შემდეგ მარტა სტიუარტმა კვლავ განაგრძო ბიზნესი.

რაჯ რაჯარატნამი. ფონდ **Galleon Group**-ის დამფუძნებელი ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ამერიკელ ფინანსისტად მიიჩნეოდა. დიდ წარმატებას დიდი სასჯელი და დიდი ხმაური მოჰყვა, როცა გაირკვა მისი ინსაიდური გარიგებების შესახებ.

ჩვეულებრივ, ამგვარ საქმეებს დიდი ჯარიმა და ორ-სამთვიანი ციხე მოჰყვება ხოლმე, მაგრამ


ბერნარდ მეიდოფი

ბერნარდ ებერსი

ქალაქ ნიუ-იორკის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისას მხოლოდ ღია ინფორმაციას იყენებდა.

სასამართლო შეუვალი აღმოჩნდა და რაჯ რაჯარატნამს 11 წელი პატიმრობა მიესაჯა.

ბერნარდ მეიდოფი. ბერნარდ მეიდოფი ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე პატივსაცემ ადამიანად მიიჩნეოდა: წარმატებული ბიზნესმენი, ხელგაშლილი ფილანტროპი, საფონდო ბირჟა **NASDAQ**-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე... მისი ბრწყინვალე კარიერა 1960 წელს უოლ სტრიტზე ფირმა **Bednard L. Madoff Investment Securities LLC**-ის დაარსებით დაიწყო. ბიზნესმენი არა მხოლოდ აღიარებისკენ მიილტვოდა, არამედ სურდა საფონდო ბაზარზე საკუთარი წესები დაემკვიდრებინა.

თავის წარმატებულ კომპანიას მეიდოფი 2008 წლის 11 დეკემბრამდე ხელმძღვანელობდა. სწორედ მაშინ დაადანაშაულეს ის მსოფლიოს ისტორიაში უდიდესი საფინანსო პირამიდის შექმნაში. ფირმის ყველა მაქინაცია 2008 წლის კრიზისის ფონზე გაიხსნა, როცა ბევრმა ინვესტორმა საკუთარი ფულის გატანა დააპირა. სწორედ ამან აიძულა მთავარი ხელმძღვანელი, ეღიარებინა თაღლითობა. შედეგად, საერთო ზარალმა თითქმის 60 მლრდ დოლარი შეადგინა.

ბერნარდ მეიდოფმა მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო. სასამართლომ მას 150 წლით პატიმრობა მიუსაჯა. მეიდოფი ამბობს, რომ იტალიის მაფიის ერთ-ერთ გავლენიან ბოსს დაუმეგობრდა და ციხე ნიუ-იორკის ქუჩებზე უფრო უსაფრთხოა.

ბერნარდ ებერსი. ბერნარდ ებერსის საქმე ისტორიაში შევიდა, როგორც აშშ-ს ისტორიაში მეიდოფის აფერის შემდეგ მასშტაბით მეორე ბუღალტრული სკანდალი. ტელესაკომუნიკაციო კომპანია **WorldCom**-ის დირექტორი და თანადამფუძნებელი ძალიან დიდხანს მალავდა კომპანიის დანაკარგებს და აყალბებდა ფინანსურ დოკუმენტებს. შედეგად, კორპორაცია არა მარტო გაკოტრდა, არამედ 11 მილიარდი ვალიც დაედო.

შედეგად, ებერსს 25 წლით პატიმრობა მიესაჯა.

2009 წელს ჟურნალმა Time-მა ბერნარდ ჯონი ამერიკის არსებობის განმავლობაში კორუმპირებულ გენერალურ დირექტორებს შორის მეათე ადგილზე დაასახელა. ებერი 2020 წელს ციხეში 78 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ხუ ხუანგუი. ტექნიკის სავაჭრო ქსელის **GOME**-ს ერთ-ერთი მთავარი დამფუძნებელი ერთ დროს ჩინეთის ყველაზე მდიდარი ადამიანი იყო. ის ღარიბი ოჯახიდან იყო და სკოლაც კი ვერ დაამთავრა, მაგრამ 40 წლისთვის მისი ქონება 6 მლრდ დოლარს შეადგენდა.

ჩინეთში ამბობდნენ, რომ ხუ ძალიან სერიოზულ ადამიანებს შეეჯახა. მისმა დაპატიმრებამ არა მხოლოდ საქმიანი წრის წარმომადგენლები გააოცა, არამედ საზოგადოების აღშფოთებაც გამოიწვია.

ხუანგუის 14 წლით პატიმრობა მიესაჯა. სასჯელის ნაწილის მოხდის შემდეგ მან თვითმკვლელობა სცადა, მაგრამ გადარჩა, კვლავ ფეხზე დადგა და საკუთარ ბიზნესზე კონტროლიც განაგრძო.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, ნელი თორდია, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს
„ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნული არეულობო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99